ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 19 თებერვალი, 2019 №41 (7896) ფასი: 60 თეთრი

ნუკრი ქანთარია: „ოცნებისადმი“ ხალხის მოლოდინი თანდათან იწურება“

გვ.3

„მამუკა ხაზარაძე შეიძლება იძულებული გახდეს, რომ პოლიტიკაში მოვიდეს“

19 თებერვლიდან

ჯონატან სვიფტი

გულივერის მოგზაურობა

„მე მიყვარს კითხვა“

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

„კალაძემ ივანიშვილს ფული მოუტეხა“

გვ.2

დიმიტრი ბიძინაშვილი: „ოცნების“ ლიდერი ფულზედამოკიდებულია და ფულის მოპარვას არავის შეარჩენს“

გვ.3

ალეკო ელისაშვილი: „ხაზარაძეს გვერდში დავუდგები ყველა ბრძოლაში“

„თიბისის ხელში ჩაგდება რუსულ ალფა ბანკს უნდა“

ვინ გადააფიქრებინა მარგველაშვილს დეკანოზ გიორგი მამალაძის შეწყალება

გვ.2

ვახტანგ მაისაია: „ნატოს გაფართოების პროცესი დასასრულს უახლოვდება“

გვ.5

გვ.4

იაგო ხვიჩია: „სავალდებულო სამხედრო სამსახურის საჯარო სამსახურთან მიბმის იდეა სულელურია“

გვ.4

„გრძელდება საუკუნეების წინ დაწყებული საქართველოს ეკლესიის დასუსტება“

სამართალი გვ.7

ანა დოლიძე: „უნდა შეიქმნას საგამოძიებო კომისია, რომელიც მოსამართლეთა ქონების კანონიერებას დაადგენს“

საფრანგეთში ქართული მაფიის 2 ჯგუფი დააკავეს



მსხვილფეხა პირუტყვის ქურდობის ფაქტებზე 5 პირი დააკავეს

ISSN 1987-9385

6 გია აბაშიძე: ნაცმოძრაობამ შეიძლება „ევროპულ საქართველოს“ რამდენიმე დეპუტატი „ასესხოს“

7 მარნეულში გაზგასამართ სადგურს ცეცხლი გაუჩნდა

6 დავით მესხიშვილი: „ავტოდაზღვევას და ტექინსპექტირებას ერთი კომპანია აკეთებს, რაც ინტერესთა კონფლიქტია“

7 სალოცავში წასული მამაკაცი კლდიდან გადავარდა და დაიღუპა

„კალაძემ ივანიშვილს ფული მოუჭეხა“

დიმიტრი ბიძინაშვილი: „ოცნების“ ლიდერი ფულზედამოკიდებულია და ფულის მოპარვას არავის შეარჩენს“

შორენა მარსაგიშვილი

რამდენიმე დღის წინ დედაქალაქის მერმა დედაქალაქის საკრებულოს წევრები ჩამოამწკრივა და მათ ფონზე ერს ახალი გადაწყვეტილება ამცნო. კახა კალაძის თქმით, დედაქალაქში მშენებლობაზე ნებართვის გაცემისას აღიკვეთება კოეფიციენტების მატება და კ2 კოეფიციენტების გაყიდვა.

ერის ნაწილი ამ გადაწყვეტილებას ხმაურიანი სამადლობელი ფეისბუქ-პოსტებით შეხვდა. მათი თქმით, კალაძის წყალობით თბილისში ქაოტური მშენებლობები დასრულდება.

მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ წევრ დიმიტრი ბიძინაშვილის თქმით კი, დედაქალაქის მერის გადაწყვეტილება სულაც არ არის ქაოტური მშენებლობების შეჩერების სურვილით გამოწვეული.

ბიძინაშვილის თქმით, თბილისის მერს ამის გაკეთება მისმა შეფმა, ბიძინა ივანიშვილმა აიძულა.

რატომ მიიღო კალაძემ ეს გადაწყვეტილება, რაში გამოიჭირა ის ივანიშვილმა, რატომ არის სახიფათო თბილისის მერის გაძლიერება? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ დიმიტრი ბიძინაშვილი ესაუბრება.

დიმიტრი ბიძინაშვილი:

– კომედიური ჟანრის ფილმს ჰგავდა, როცა კალაძე გამოვიდა და გვითხრა, რომ უარს ამბობს სამშენებლო კოეფიციენტების გაყიდვაზე. მან საკუთარ თავს საკუთარი ხელით აუკრძალა კოეფიციენტების გაყიდვა. ერთი მხრივ, რაღაც მომენტში თბილისელების გული მოიგო. მეორე მხრივ, ბიძინა ივანიშვილს დაანახა, რომ ის თავისი ხელით იზღუდავს იმ უფლებას, რისი გამოყენებაც მას, როგორც მერს, შეუძლია.

– ივანიშვილის დასანახად რატომ გააკეთა ეს?

– თავი და თავი ეს არის. კალაძე აქტიურად არის ჩართული სამშენებლო ბიზნესში და ამით ძალიან დიდ ფულს შოულობს. როგორც ჩანს, აქედან ივანიშვილამდე წილი არ მიდის.

ამის გამო ოლიგარქი თბილისის მერს გაუბრაზდა და მოსთხოვა, სამშენებლო კოეფიციენტების გაცემა შეეწყვიტა. ივანიშვილმა კალაძეს ასევე მოსთხოვა, რომ მის გარეშე ბიზნესის კეთებას შეშვებოდა.

ეს მოთხოვნა კალაძემ დაუყოვნებლივ შეასრულა. თბილისის მერმა „ოცნების“ ლიდერის წინააღმდეგ წასვლა ვერ გაბედა. რატომ ვერ გაბედა? მის წინააღმდეგ ივანიშვილს უამრავი მტკიცებულება აქვს და ფაქტობრივად მუჭში ჰყავს მოქცეული.

– წინა ინტერვიუებში თქვენ თქვით, რომ ვაკის გამგებლის მოადგილის დაჭერით, ივანიშვილმა კალაძე გააფრთხილა. მერის ეს გადაწყვეტილება ამ პროცესებთან არის კავშირში?

– რა თქმა უნდა, კავშირშია. რუს ოლიგარქს თბილისის მერი ყურებით ჰყავს დაჭერილი და რასაც უნდა, იმას აკეთებინებს. სამშენებლო კოეფიციენტების ნებართვების გაცემის აკრძალვა გამოწვეულია იმით, რომ ივანიშვილმა კალაძეს დამოუკიდებელი თამაში და თბილისში საკუთარი ბიზნესინტერესების გატარება არ აპატია.

ივანიშვილმა გაიგო, რომ სამშენებლო კოეფიციენტებს კალაძე იმ სამშენებლო კომპანიებს უზრდიდა, რომლებთანაც თავად იყო დაკავშირებული. ამით თბილისის მერი ძალიან დიდ ფულს შოულობს და ამ ფულიდან ოლიგარქთან არ მიჰქონდა წილი. ამან ყველაფრის მოურავი ძალიან გაანაწყენა.

არავისთვის ახალი არ არის, რომ ის საქართველოს, როგორც შპს-ს, ისე უყურებს. ამ მხრივ გამონაკლისი არც თბილისია. მას თბილისიდან წილი შემოაკლდა და კალაძეს აღარ მისცა უფლება, რომ მას ერთპიროვნულად მიეღო გადაწყვეტილებები სამშენებლო კოეფიციენტის გაზრდაზე.

– ამბობთ, რომ კალაძეს ივანიშვილთან წილი აღარ მიჰქონდა. დარწმუნებული იყავით, რომ ამის გამო ქოცების ლაშქარი ქოქოლას დაგაყრით, ივანიშვილს იმდენი ფული აქვს, ვიღაცის წილი რაში სჭირდებაო. ქოცები იქეთ იყვნენ და ეგ კითხვა მეც მაქვს, ადამიანს ამდენი ფული რომ აქვს, რაღა ჯანდაბად უნდა, სხვას წილში ჩაუჯდეს.

– მე ისიც მომისმენია რომ ბიძინას იმდენი ფული აქვს, რომ ქართველების არაფერი არ სჭირდება. მათი არგუმენტების გასაცამტვერებლად შემიძლია რამდენიმე მაგალითი მოვიყვანო.

რუს ოლიგარქს ძალიან ბევრი ფული აქვს, მაგრამ 1 ლარად გადაეცა პუშკინის სკვერი. აღარაფერს ვამბობ თაბორის მთაზე.

საინტერესო ამბავია კრიპტოვალუტის გადამამუშავებელი ქარხნები. სანამ ქარხნები ამუშავდებოდნენ, ივანიშვილმა ის ადგილი თავისუფალ სავაჭრო სივრცედ გამოაცხადა.

ადამიანს ამდენი მილიარდი აქვს და მისთვის დენის ტარიფია იმაზე ბევრად დაბალი, ვიდრე დანარჩენი მოსახლეობის. მას დენი ფაქტობრივად უფასოდ მიეწოდება.

მეტსაც გეტყვით, თბილისის მერიამ ბიუჯეტის თანხები დახარჯა იმისთვის, რომ მისთვის ცალკე გენერატორები დაედგათ.

თუ ასეთი ქველმოქმედია და ჩვენგან არაფერი უნდა, რატომ არ ხარჯავს „ოცნების“ ლიდერი თავის ფულს? აგვიხსნას, რატომ აკეთებს ჩვენი ფულით თავის ბიზნესს.

არაერთი მასალა გასულა მედიაში იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ეპატრონებიან მისი ოჯახის წევრები ქვეყნის ქონებას და სტრატეგიულ ობიექტებს. ყველამ იცის, რომ რკინიგზაში ბიძინას დეიდაშვილს აქვს სერიოზული ინტერესები.

– კალაძის მტკიცებით, სამშენებლო კოეფიციენტების გაზრდით, თბილისში ქაოტური მშენებლობები შეწყდება. იქნებ ამ ქაოტური მშენებლობების გამო შემოსწყრა მას ივანიშვილი?

– გამორიცხულია. აქ უთანხმოების მიზეზი არის ის, რომ კალაძეს ივანიშვილთან წილი არ მიჰქონდა. რაც შეეხება ქაოტური მშენებლობების შეჩერებას, მერი გვეუბნება, რომ ამ ქაოსის აღმოფხვრა უნდათ და ამ დროს სამგორის მეტროსთან თვრამეტი 9 სართულიანი კორპუსის მშენებლობაზე გასცა ნებართვა.

არც ის დაგვავიწყდეს, რომ მერმა „ოცნების“ დეპუტატ ბექა ოდიშარიას თაბორის მთაზე სასტუმროს მშენებლობის ნებართვა მისცა.

– ეს მშენებლობა ხომ შეჩერდა?

– ოპოზიციის აქტიურობის შედეგად, ეს მშენებლობა ახლა შეჩერებულია. სასაცილოა, როცა კალაძე ამბობს, რომ ქაოსი უნდა შეჩერდეს, ამ ქაოსს ის თავის ხელით ქმნიდა. ამით დიდ ფულს შოულობდა, მერე ამ ფულის ივანიშვილთან წაღება აღარ მოინდომა და ამის გამო დაისაჯა.

– წილის მიტანის შემთხვევაში კალაძე დაიბრუნებს სამშენებლო კოეფიციენტების გაზრდის უფლებას?

– რა თქმა უნდა. მანამდე, სანამ ივანიშვილთან დალაგდება, ის შავ ხვრელებს მაინც დატოვებს, რომ თბილისში თავისი ბიზნესი აწარმოოს. ამ

ყველაფერს ის „ოცნების“ ლიდერისგან მალულად გააკეთებს.

– დაეძებება თბილისის მერს ოლიგარქთან ურთიერთობა?

– თბილისის მერი გადაწყვეტილებებს ერთპიროვნულად ვეღარ მიიღებს.

– „ოცნების“ ლიდერთან მოუწევს ყველაფრის შეთანხმება?

– ყველა მის გადაწყვეტილებაში ოლიგარქის მარჯვენა და მარცხენა ხელი იქნება ჩართული. აწი თბილისში ისე იქნება, რა სურს ბიძინას და არა ისე, რა სურს კალაძეს.

ქაოსური მშენებლობები არ გაჩერდება, უბრალოდ, თბილისის მერი თავის უფროსს ამ საქმიდან ფულს ვეღარ მოუტეხავს.

– თუ ეს ყველაფერი მართლა ფულის გამო მოხდა, ივანიშვილს იმისიც ხომ არ შეეშინდა, რომ კალაძე მასზე ბევრ ფულს იშოვიდა. მილიარდების შოვნა საქართველოში ასე ადვილი არაა, მაგრამ შიშს დიდი თვალები აქვს.

– კალაძემ უკვე იშოვა ფული, მაგრამ ივანიშვილზე მეტ ფულს ვერ იშოვის. ეს ივანიშვილმაც კარგად იცის, მაგრამ არ უნდა, რომ თბილისის მერმა სერიოზული კაპიტალი დააგროვოს. დიდი ფულის პატრონი კალაძე მას შეიძლება ძალაუფლებაში შეეცილოს. ეს ოლიგარქს არაფერში სჭირდება.

მთავარი მიზეზი მათი დაპირისპირებისა ფულის მოტეხვაა, რასაც „ოცნების“ მტკივნეულად განიცდის. ის ფულზედამოკიდებულია და ყველაფრისგან ფულის მიღება უნდა.

ვინ გადააფიქრებინა მარგველაშვილს დეკანოზ გიორგი მამალაძის შეწყალება

შორენა მარსაგიშვილი

ციანიდის საქმის გარშემო სკანდალები არ მთავრდება. ცნობილი ხდება, რომ საპატრიარქო თანახმა იყო ქვეყნის მეოთხე პრეზიდენტს, გიორგი მარგველაშვილს დეკანოზი გიორგი მამალაძე შეეწყალებინა.

ირკვევა ისიც, რომ დეკანოზის შეწყალებას გიორგი მარგველაშვილიც აპირებდა. ეს ინფორმაცია მეოთხე პრეზიდენტმა ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტს, მეუფე დანიელს დაუდასტურა. მათ შორის სატელეფონო საუბარი გუშინ, 18 თებერვალს, შედგა.

სატელეფონო საუბრამდე ცოტა ხნით ადრე მეუფე დანიელმა თქვა, რომ ვიღაცამ მარგველაშვილს დეკანოზის შეწყალებაში ხელი შეუშალა, რასაც მითქმა-მოთქმა მოჰყვა. მეუფე დანიელს კი დამატებითი განმარტებების გაკეთება მოუწია.

– კიდევ ერთხელ მინდა გამოვთქვა დიდი მწუხარება, რაც დეკანოზ გიორგი მამალაძის საკითხთან დაკავშირებით ხდება. ეს მთელი საზოგადოებისთვის მტკივნეულია. ჩვენ გვწამს, რომ ყველა უხერხულობა, რაც ამ საქმეს ახლავს თავს, გამომჟღავნდება. ჩემი პირველი განცხადების შემდეგ ჟურნალისტებმა და გარკვეულმა პირებმა შეფასება გააკეთეს. მე ვთქვი და გავიმეორებ, რომ ეკლესია არასოდეს არ იყო და არც ახლა არის წინააღმდეგი, რომ მოხდეს შეწყალება. მე მქონდა ინფორმაცია, რომ პრეზიდენტი იყო მზად შეეწყალებინა დეკანოზი მამალაძე.

როდესაც ჟურნალისტებმა მკითხეს, ამ გადაწყვეტილების მიღებაში პრეზიდენტს რამ შეუშალა ხელი, გამოვთქვი ვარაუდი, რომ ხელისუფლებამ. ჩემი აზრით, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხელისუფლება წინააღმდეგი იყო შეწყალების. სასამართლო გრძელდება და შეიძლება იყო გარემოება, რომელმაც პრეზიდენტს ხელი შეუშალა ამ გადაწყვეტილების მიღებაში.

ჩემი განცხადების შემდეგ ისეთი კომენტარები გაკეთდა, რომ თავად მარგველაშვილს დავურეკე ჩემი ინფორმაციის გადასამოწმებლად, რომელმაც ჩემი ინფორმაცია დაადასტურა. მან განმიმარტა, რომ აპირებდა დეკანოზის შეწყალებას, თუმცა დაელოდა რეკომენდაციას შეწყალების კომისიიდან და რეკომენდაცია არ იყო დადებითი. მოვლენის სირთულიდან და საკითხის ბუნდოვანებიდან გამომდინარე, პრეზიდენტმა გაითვალისწინა კომისიის რეკომენდაცია, – განაცხადა მეუფე დანელიამ ტვ პირველთან საუბარში.

მეუფე დანიელის განცხადებებს დეკანოზის ძმა, თორნიკე მამალაძეც გამოეხმაურა. ის დარწმუნებულია, რომ მამა გიორგის შეწყალების საკითხი საპატრიარქომ დაბლოკა.

მედიასთან საუბარში თორნიკე მამალაძემ განაცხადა, რომ გუშინ პირველად გაიგო მეუფე დანიელისგან, რომ ციანიდის საქმეზე მსჯავრდებული დეკანოზის შეწყალების საკითხი მთავრობამაც განიხილა.

დეკანოზის ძმა ვარაუდობს, საპატრიარქოს ახლა სურს გიორგი მარგველაშვილს გადააბრალოს, რომ დეკანოზი ისევ პატიმრობაშია.

– მე ვიცი, რომ პრეზიდენტი მზად იყო, შეწყალებისთვის. მე ისიც ვიცი, რომ მან კონსულტაციები გაიარა საპატრიარქოში. პირველად გავიგე, რომ მან მთავრობას მიმართა ამ თემასთან დაკავშირებით. დარწმუნებული ვარ, იყო კონსულტაციები საპატრიარქოში. ეჭვი მაქვს, საპატრიარქოდან დაიბლოკა ეს შეწყალების საკითხი, რადგანაც არაერთმა სასულიერო პირმა მითხრა, რომ ის იყო მოსული და პირადად ესაუბრა მის უწმინდესობასა, ვისგანაც, ჩემი აზრით, თანხმობა არ ყოფილა, –– აცხადებს თორნიკე მამალაძე.

* * *

დეკანოზი გიორგი მამალაძე ისევ ღუდუშაურის კლინიკაშია. გუშინ, 18 თებერვალს, ის ჭყონდიდის ეპარქიის მღვდელმსახურმა, მამა ანდრია სარიამ მოინახულა. მისი თქმით, პაციენტის მდგომარეობა რთულია.

– მამა გიორგის მდგომარეობა არის რთული, არ არის მარტივ ფორმებში. როგორც ცნობილია, მას მარჯვენა კიდურები წართმეული აქვს, სუსტად საუბრობს. პირველ დღეს, როცა დააკავეს, როდესაც დაიწყეს უსამართლობა და მამა გიორგისთვის უსამართლო განაჩენის გამოტანა, მას ჰქონდა იგივე პრობლემები და იგივე სამედიცინო დასკვნა, რაც დღეს არის – ინსულტის ნიშნები. შესაბამისად, დღესაც იგივენაირად, ამ უსამართლობის წნეხის ქვეშ, ნერვიულობის ფონზე ის ამ ყველაფრის მსხვერპლია და არანაირი გარანტია არ გვაქვს იმისა, ხვალ და ზეგ რომ ის ნორმალურად იგრძნობს თავს. სანამ ეს უსამართლო კამპანია მის წინააღმდეგ მუშაობს, მანამდე, რა თქმა უნდა, სიცოცხლესთან დაკავშირებული საშიშროება არსებობს, – აღნიშნა მამა ანდრია სარიამ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ალეკო ელისაშვილი: „ხაზარაძეს გვერდში დავუდგები ყველა ბრძოლაში“

„თიბისის ხელში ჩაგდება რუსულ ალფა ბანკს უნდა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს **ალეკო ელისაშვილი** პასუხობს.

– ალეკო, სულ უფრო ხშირად გვესმის შეფასებები, რომ ქვეყანაში სიტუაცია ძალიან აირია, რომ მოიშალა სასამართლო სისტემა, რომ უტევენ და ატერორებენ ბიზნესს. როგორია თქვენი შეფასებები ამ ყველაფერზე?

– პირველ რიგში მე მაინტერესებს, ნეტა ვინმე, ვინც ივანიშვილის გარემოცვაშია, თუ უსვამს ივანიშვილს კითხვას, ნოემბერში რომ გვითხრა მეორე ტურის წინ, ერთი წელიც მაცადეთ და ყველაფერი კარგად იქნებაო, მეოთხე თვეა უკვე დაწყებული და მაინცდამაინც ბოლო თვეში მოიტოვა ამ ქვეყნის წინსვლა, აღორძინება თუ როგორ არის საქმე?!

რა თქმა უნდა, ეს არის ხუმრობით, მაგრამ საინტერესოა, ვინმე თუ ეკითხება, ხალხს რომ დაჰპირდი და კიდევ ერთხელ რომ გადააგდე, როგორ იქნება ეგ ამბავიო. თიბისი ბანკის ამბავმა აჩვენა ბევრი რამ.

– კერძოდ, რა აჩვენა?

– შეუძლებელია, რომ ბანკი გიყვარდეს ადამიანს. არ მეგულება არც ერთი ჯანმრთელი ადამიანი, ბანკი რომ უყვარდეს. ათი წელია, მეც ბანკის კრედიტი მაქვს სახდელი, მაგრამ თუ შევხედავთ, ყველაზე საძაგელი ბანკი არის ქართუ ბანკი, ან ოფისებს შეხედეთ, ან სერვისი ნახეთ, ან რა კრედიტებს გასცემენ, საერთოდ სამომხმარებლო კრედიტი არ აქვთ და იპოთეკური საერთოდ არა აქვთ. მარტო მთავრობის მოსასყიდი კრედიტები აქვთ და ასეთი ბანკის მფლობელი ივანიშვილი მიადგა თიბისის.

კიდევ ვიმეორებ, თიბისი ვინმეს მოსწონს თუ არ მოსწონს, ეს სხვა ამბავია, მაგრამ ყველაზე გამართულ ბანკს მიადგა ამ ქვეყანაში და თან შარი მოსდო, 11 წლის წინ რაღაცა უცნაური გადარიცხვა იყო და საეჭვოო. ივანიშვილს რომ ვინმეს გადარიცხვა გაუკვირდება, თვითონ მილიარდები აქვს ნაშოვნი ამ რაღაცა მაქინაციებით და ფულის გათეთრებით. სინამდვილეში ეს კიდევ უფრო საშიში პროცესია.

– რა პროცესი?

– ეს მარტო თიბისიზე და ხაზარაძეზე შეტევა არ არის. თიბისი ბანკის ყიდვით დაინტერესებულია რუსული ალფა ბანკი და მათ ინტერესშიც შედის, რომ აქციების ფასი დაეცეს და ლონდონში დაეცა უკვე თიბისის აქციების ფასი.

ასევე რუსებს უკავშირდება მეორე საკითხიც. თუ ვინმეს არ აწყობს ანაკლიის პორტის აშენება, ეს არის რუსები, იმიტომ, რომ რუსები ამ შემთხვევაში დაკარგავენ ტვირთების ნაწილს. იმის გამო, რომ ფოთი არ არის ღრმაწყლოვანი, იქ დიდი გემები ვერ შემოდიან და ეს ტვირთები ნაწილდება ნოვოროსიისკით და ახლა უკვე ყირიმითაც მიდის რუსული რკინიგზის გავლით ჩინეთში.

სწორედ ამ ტვირთების ნაწილს ჩავხსნიდით ჩვენ, თუკი ღრმაწყლოვან პორტს ავაშენებდით ანაკლიაში. თუ ვინმე არის დაინტერესებული ამ პროექტის შეჩერებით და ჩავარდნით, არიან მხოლოდ რუსები.

– ამბობენ, რომ ულტიმატუმი წაუყენეს ხაზარაძეს, რომ ან უნდა დათმოს ანაკლიის პროექტი ან დაკარგავს თიბისი ბანკს. ასეა?

– არ ვიცი მე, იქ კულუარული შეთვლები რა არის, მე ღია ინფორმაციით შემიძლია უბრალოდ ვარაუდი. აქ ჩანს და ხელისგულზეა, რომ ის, რაც ხდება თიბისის გარშემო და ანაკლიის პორტის გარშემო, რუსების გარდა არავის აწყობს და ამაში ეხმარება ივანიშვილი.

ეს ყველაფერი ხელისგულზე დევს და ჩვენ შეგვიძლია, თავი გამოვიშტეროთ და არ შევვიმჩნიოთ და შეგვიძლია, რეალობას თვალი გავუსწოროთ და რეალური ანალიზი გამოვიტანოთ.

– და როგორია რეალობა?

– ვხედავთ, რომ ეს ასეა, ვხედავთ, რომ უნდათ ქართული ბანკის დანგრევა და ჩამოშლა. თან ვის, ყველაზე ბანძი ბანკის მფლობელსა და მეპატრონეს.

ძალიან ცუდი პროცესები მიმდინარეობს. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ დანარჩენი ბიზნესი, დანარჩენი ბანკები არიან გატრუნულები, ვითომ მათ არ ეხებათ. აი, ზუსტად ის ამბავია, ერთი პოლონელი პასტორის ნათქვამი რომ არის: ჩემს მეზობელს რომ მიადგნენ, ხმას არ ვიღებდიო, კომუნისტებს რომ მიადგნენ, ხმას არ ვიღებდიო, მერე სოციალისტები დაიჭირეს, ხმა არ ამომიღიაო და მე რომ მომადგნენ, მერე ხმის ამომღები აღარავინ იყოო.

ზუსტად იგივე სჭირს ქართულ ბიზნესს. საქართველოს ბანკის და კიდევ რამდენიმე მსხვილი და თავმოყვარე კომპანიის ადგილას რომ ვიყო, პირველ რიგში მე დავიწყებდი ყვირილს.

– მათაც მიადგებიან?

– თიბისის თუ მარტივად გაუბედეს, მერე ყველა ჯიბეში ჰყავთ ჩასმული. მერე ყველას მიადგება ბიძინას დავალებით ფარცხალაძე და ძალიან კონკრეტულ რაღაცებს მოითხოვს.

ნამდვილად საბრძოლველია. ხაზარაძის მაგივრად მე ვერ ვიჩხუბებ, მაგრამ ხაზარაძეს გვერდში დავუდგები ყველა ბრძოლაში აუცილებლად. იმიტომ, რომ აქ თიბისის სიყვარულსა და სიძულვილში კი არ არის საქმე, ვიღაცები რომ ძალიან ბედნიერები არიან, აი მეტის ღირსია ხაზარაძეო. ვინ რისი ღირსია, ვინ მეტის და ვინ ნაკლების, ეს სხვა ამბავია.

ამ შემთხვევაში ცოტა მასშტაბურად თუ არ შევხედეთ ამ პრობლემას, სხვაგვარად არ შეიძლება. რაღაცა ვიწრო ინტერესებიდან და ჩვენი კრედიტებიდან გამომდინარე კი არ უნდა შევხედოთ, თანაც ხაზარაძეს რაც არ უნდა პრობლემა შეექმნას, არავინ ჩვენს კრედიტს არ გვაპატიებს. რუსებმა თუ ჩაიგდეს ხელში, მით უმეტეს.

ასე რომ, ცოტა სიძულვილის ნაჭუჭიდან უნდა გამოვიდეთ და უფრო მასშტაბურ სურათს უნდა შევხედოთ და ეს მასშტაბური სურათი გვეუბნება, რომ ძალიან მძიმე დღეში ვართ. ეს კაცი უკვე თანდათან ყველა ზღვარს გადადის თავისი შურისძიებებით.

– ნაციონალების მმართველობის ბოლო წლებს გვაგონებს ეს პერიოდიო, ასეთი შეფასებებიც კეთდება უკვე. ამაზე რას იტყვით? გაავლებთ პარალელს?

– დიახ, ასეა, როდესაც არაადეკვატური გახდა სააკაშვილი და ყველას და ყველაფერს უტევდა, სწორედ იმ სიტუაციას წააგავს. ეცა და ეძგერა ყველაფერს, თვალზე ლიბრი ჰქონდა გადაკრული და ვერ არჩევდა ვერაფერს, არც შედეგებზე ფიქრობდა.

ზუსტად ეს სიტუაციაა დღესაც. ხომ წამოსცდა კიდეც ერთხელ ივანიშვილს, უმადური კაციაო. ივანიშვილი მაფიოზურად უყურებს ყველაფერს, ჩვენ კი გვინდა, რომ ნორმალური ქვეყანა გვერქვას და ნორმალურ სახელმწიფოში ვცხოვრობდეთ და არა – ბიძინა ივანიშვილის დუქანში, სადაც რაღაცა ქურდული გარჩევები მიდის.

მე ბიძინა ივანიშვილის დუქანში არ დავბადებულვარ და არ მინდა, ბიძინა ივანიშვილის დუქნის მოქალაქე ვიყო! მე მინდა, რომ საქართველოს მოქალაქე ვიყო.

– ანუ, ვინც ბიძინაზე ზურგს უკან ცუდი თქვა, ყველას უნდა ეშინოდეს შურისძიების?

– ბიძინა ივანიშვილის ვისაც ეშინია, ღმერთმა ხელი მოუმართოს. მე არც ივანიშვილის მეშინია და არც არავისი. ამ კაცს თავისი ადგილი უნდა მივუჩინოთ. ძალიან თავს გავიდა. ამ ქვეყანას მიათრევს ჭაობში, თორემ თავის სახლში რაც უნდა, ის აკეთოს, ყირაზე გადავიდეს, თუ უნდა. ეს ქვეყანა დაჭაობდა და მიდის სადღაც უკან და უკან.

– მივაღწევთ არჩევნებამდე, მოხდება დემოკრატიული გზით ცვლილებები თუ დაჩქარდება პროცესები?

– ჩვენ ხალხს ახასიათებს, რომ ყველაზე უიმედო მდგომარეობაშიც კი რაღაცა თავში დაგვარტყამს ხოლმე და ვიფეთქებთ. ეს ქვეყანა ვერ გატეხა შაჰ-აბამა, თემურ ლენგმა და ჯალალედინმა და მსოფლიო მასშტაბის დამპყრობლებმა. სტალინმა ვერ გატეხა და...

ვითმენთ, ვითმენთ და მერე სადღაც ძალიან ცუდად გაწყდება ხოლმე. მე როგორც ვგრძნობ, ძალიან ცოტა ხანში გაწყდება. ივანიშვილი კი გაასწრებს, თვითმფრინავი ჰყავს, მაგრამ მის გარშემო დანარჩენი მავნებლები რას ფიქრობენ, აი ეგ არის საინტერესო. სად გაიქცევიან?

– ანუ არ ელოდებით სტაბილურ სიტუაციას? ისევ რევოლუციური გზით წავალთ?

– მე მინდა, რომ პროცესი მიდიოდეს კონსტიტუციურად და მომხრე ვიქნები, რომ ბოლომდე ყველაფერი კონსტიტუციური გზით განვითარდეს, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა სიტუაცია, წავიდა საქმის გარჩევები და ძალადობა გაგრძელდა, მერე აღარ იქნება მარტივი სიტუაციის შეკავება.

ჯერჯერობით ხაზარაძე ქედს არ უხრის ივანიშვილს და ეს ძალიან კარგი და მისასალმებელია, იმიტომ, რომ მთელი ცხოვრება რასაც აშენებდა და აკეთებდა, ახლა უცბად ამის დანგრევა მოინდომა ერთმა კაცმა, იმიტომ, რომ ცუდ ხასიათზე გაიღვიძა, ან ვიღაცამ რაღაც უთხრა.

მე ხაზარაძის ადგილას ვიბრძოლებდი ბოლომდე. დავაკვირდები სიტუაციას და ბოლომდე ხაზარაძის მხარდამჭერი ვიქნები ამ საქმეში და კონკრეტულად ამ ბრძოლაში.

ნუკრი ქანთარია: „ოცნებისადმი“ ხალხის მოლოდინი თანდათან იწურება“

„მამუკა ხაზარაძე შეიძლება იძულებული გახდეს, რომ პოლიტიკაში მოვიდეს“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ წვერი, პარლამენტის დეპუტატი **ნუკრი ქანთარია** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ნუკრი, ლევან გოგიჩაიშვილსა და ანრი ოხანაშვილს შორის კომიტეტზე დაპირისპირება იყო. „ოცნების“ ნაწილის მიერ მომზადებული კანონპროექტის განხილვის გაჭიანურება ხდება. თქვენი პოზიცია როგორია აღნიშნულ კანონპროექტთან დაკავშირებით?

– ერთი მხრივ, ცოტა უხერხულობა შეიძლება შეიქმნას, როდესაც მოსამართლეების ნაწილმა უკვე შეასწრო და ნაწილის წინ კარები ჩაიკეტოს. თუმცა, რაღაც გამოსავალი რომ არის მოსაძებნი, ეს აშკარაა. თუ უკვე ყველა დაინიშნა, მაშინ აზრს კარგავს ეს ყველაფერი. ალბათ, მაინც დროებითი ღონისძიება შეიძლება იყოს უვადოდ დანიშვნის შეჩერება, სანამ კრიტერიუმები დადგინდება. შექმნილი ვითარებიდან ალბათ დროებით შეჩერება მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნების შეიძლება ყველაზე ადეკვატური იყოს, რომ საზოგადოებაში არსებული კითხვები ჩვენ უპასუხოდ არ დავტოვოთ.

– ერთ-ერთი ბოლო სოციოლოგიური კვლევით ნიჰილისტური განწყობები იზრდება. რამდენად გრძნობს მოსახლეობის მაჯისცემას ხელისუფლება?

– საკმაოდ დიდი მოლოდინები იყო. მეორე ვადა სრულდება. ამ საპრეზიდენტო არჩევნებმა ძალიან ბევრი რამ გააშიშვლა და გამოააშკარავა. წელიწადნახევარია დარჩენილი, დრო საკმაოდ ცოტაა. ხალხის განწყობების ყველაზე კარგი კვლევა არჩევნებია. ამ არჩევნებზე ხალხმა თავისი სათქმელი თქვა, ახლა ჯერი ჩვენზეა. პირველსა და მეორე ტურებს შორის დაპირებები იყო და მე ველოდები ამ დაპირებების შესრულებას. ცვლილებები აუცილებლად უნდა მოხდეს.

– ცვლილებები საკადრო დონეზე?

– დიახ, მათ შორის საკადრო დონეზე. საერთოდ ტემპის დაჩქარებაზე იყო საუბარი და ცხადია, მეც მაქვს მოლოდინი, რომ ჩვენ უფრო წინ უნდა წავიწიოთ. ახლა მგონია, რომ მოლოდინის რეჟიმი უკვე იწურება. ამიტომ, მეტია საჭირო ჩვენი მხრიდან. ძალიან ბევრი რამ იქნება დამოკიდებული, თუნდაც ამ სასამართლო სისტემასთან დაკავშირებით როგორ რა მოხდება, რა მოხდება. ასევე ამ წელიწადნახევარში რას შევძლებთ, ეს პერიოდი ძალიან მნიშვნელოვანია, ვნახოთ.

– თქვენ რას ელოდებით? მესამე პოლიტიკური ძალა გამოიკვეთება, შეიძლება „ქართულ ოცნებას“ რეალური კონკურენტი გამოუჩნდეს?

– არ არის გამორიცხული, რომ ახალი პოლიტიკური ძალა გამოჩნდეს.

– კონკრეტულად?

– ბევრი რამე დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ შეძლებს სასამართლოში ხაზარაძე საკუთარი თავის დაცვას. შეიძლება ის იძულებით აღმოჩნდეს პოლიტიკაში. ამ შემთხვევაში ის წაიღებს როგორც ნაციონალური მოძრაობისა და „ევროპული საქართველოს“ ხმებს, ისე „ქართული ოცნების“ ხმებსაც. თან თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მესამე ძალის გამოჩენის მოლოდინია ხალხში, შეიძლება სწორედ ის აღმოჩნდეს მესამე თუ მეორე ვერ გეტყვით, რომელი, და მან შეიძლება სერიოზულად წაართვას ბევრ პარტიას ხმა. მათ შორის მმართველ პარტიასაც.

– თქვენ უშუალოდ მამუკა ხაზარაძეს ელოდებით პოლიტიკაში თუ ის ოპოზიციურ ძალას დააფინანსებს?

– არა, შეიძლება ოპოზიციური პარტიებიც დააფინანსოს, მაგრამ მე უშუალოდ მის ჩართვას ველოდები პოლიტიკაში. თუმცა, ხომ გეუბნებით, ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ განვითარდება მოვლენები უშუალოდ ამ საქმესთან დაკავშირებით. თუ ის კედელთან იქნება მიყენებული და სხვა გზა არ დარჩება, მაშინ მე არ გამოვრიცხავ, რომ პოლიტიკაში მოვიდეს.

– დასაყრდენი ექნება?

– მას აქვს გარკვეულ წრეებთან სიახლოვე, კავშირები და ამ წრეებს ის შემოიკრებს. მაგალითად, თუნდაც მწერლებს. თანაც ხალხში არის ახლის მოლოდინისა და გამოჩენის სურვილი, ესეც აშკარად გამოჩნდა. ყველა პოლიტიკური ლიდერი გაცვეთილია, ხაზარაძე პოლიტიკაში ახალი იქნება. ამიტომ, მე ვფიქრობ, რომ ის ამ ყველაფერს გამოიყენებს.

ხომ იცით, როდის მიდის ბიზნესმენი პოლიტიკაში, როდესაც ყველა გზა ამოეწურება. შეიძლება მას არ უნდოდეს, მაგრამ იძულებული გახდეს. სტუდენტებთან შეხვედრაზე პოლიტიკური მესიჯები ნამდვილად წამოვიდა. თუმცა, რატომღაც შემექმნა შთაბეჭდილება, რომ ეს შეხვედრა წინასწარ იყო ერთგვარად გავლილი, არც ერთი აქტუალური შეკითხვა არ დასმულა სტუდენტების მხრიდან. აქვე ვაკონკრეტებ, რომ ეს მხოლოდ ჩემი ვარაუდებია, ჩემი ანალიზია.

– მამუკა ხაზარაძესთან ერთად გიორგი კვირიკაშვილის დაბრუნებასაც ელოდებით?

– არა, არა მგონია. თუმცა, გამორიცხული არაფერი არ არის.

– ამას იმიტომ გეკითხებით, რომ კვირიკაშვილი ხაზარაძის საქმეს გადაყვა.

– არა, მე ვერაფერს გეტყვით.

– ახლა ძალიან მნიშვნელოვანია კვირიკაშვილის პოზიცია ამ ყველაფერზე. თქვენ ელოდებით მის დაბრუნებას? რადგანაც იცნობთ, იმიტომ გეკითხებით.

– მაინცდამაინც დიდი სურვილი და ინტერესი მას არასდროს ჰქონია პოლიტიკისადმი. ეს არ არის მისი დიდი ოცნება და დიდი სურვილი. ასე რომ ყოფილიყო, 6 წლის წინ კი არ მოვიდოდა პოლიტიკაში, ბევრად უფრო ადრე, თუნდაც როდესაც „ახლებში“ იყო. იქიდან ბანკში წავიდა, პოლიტიკაში კი არ დარჩა. ამიტომ ახლაც არ მგონია, რომ პოლიტიკაში დაბრუნდეს.

– კვირიკაშვილი მოწოდებით პოლიტიკოსი არ არის?

– მისი შინაგანი მოთხოვნილება, რამდენადაც მე ვიცნობ, არ არის პოლიტიკა. თუმცა, ყველაფერი შესაძლებელია. ახლა მთავარი ის კი არ არის, მამუკა ხაზარაძე რას გააკეთებს, ახლა მთავარია, ჩვენ რას გავაკეთებთ.

ხალხი ხელისუფლებას უყურებს, მისი ნაბიჯების მოლოდინშია. ეს მოლოდინი ნელ-ნელა იწურება. ამიტომ ხალხში ენთუზიაზმი რომ გაჩნდეს, ამისთვის აუცილებელია თვალსაჩინო ცვლილებები, ეს გარდაუვლად საჭიროა. ხალხში მოლოდინის რეჟიმია, ეს მოლოდინი კი ქვიშის საათივით ნელ-ნელა იწურება.

იაგო ხვიჩია: „სავალდებულო სამხედრო სამსახურის საჯარო სამსახურთან მიბმის იდეა სულელურია“

იაგო ნაცვლიშვილი

შესაძლოა საჯარო სამსახურში მუშაობის უფლება აეკრძალოთ იმ პირებს, ვისაც სავალდებულო სამსახური გავლილი არ აქვს. ეს იდეა ინფრასტრუქტურის სამინისტროს აქვს. თავდაპირველად გავრცელდა ინფორმაცია, რომ სამინისტროს ამის თაობაზე საკანონმდებლო ინიციატივა აქვს, თუმცა, როგორც გაირკვა, ეს მხოლოდ იდეაა და მსჯელობის შემდეგ გადაწყდება.

– ამ ეტაპზე საკანონმდებლო ინიციატივა მომზადებული არ არის. ნებისმიერი ცვლილება შემუშავებული და წარდგენილი იქნება მხოლოდ შეგროვებული პრობლემატიკის სრულფასოვანი ანალიზისა და ყველა უწყებასთან, თვითმმართველობებთან და პარლამენტთან კონსულტაციების შემდეგ, – აღნიშნულია ინფრასტრუქტურის სამინისტროს განცხადებაში.

აღნიშნული იდეის შესახებ „ახალი თაობა“ გირჩის ერთ-ერთ ლიდერს **იაგო ხვიჩიასა** და პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს **ირაკლი სესიაშვილს** ესაუბრა:

იაგო ხვიჩია ამბობს, რომ ეს იდეა უშინაარსო და ალოგიკურია. მისთვის ისიც გაუგებარია, რატომ არ უქმდება სავალდებულო სამხედრო სამსახური და რატომ არ გადადის ქვეყანა საკონტრაქტო სისტემაზე სრულად.

– როგორ აფასებთ ინფრასტრუქტურის სამინისტროს იდეას იმის თაობაზე, რომ სავალდებულ სამხედრო სამსახური არა თუ სავალდებულო დარჩეს, არამედ საჯარო სამსახურში მუშაობაც კი შეიზღუდოს. ეს თქვენთვის რას ნიშნავს?

– არაფერს. მე ამისთვის არანაირი მნიშვნელობა არ მიმინიჭებია. უბრალოდ გაუგებარი და უშინაარსოა. მაინტერესებს, რა მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არსებობს სავალდებულო სამხედრო სამსახურსა და საჯარო სამსახურს შორის?! მე ვყოფილვარ საჯარო მოსამსახურე ოდესღაც და არასდროს არ მიგრძნია, რომ რამე პრობლემა მქონდა იმის გამო, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახური არ მქონდა გავლილი.

აქედან გამომდინარე, ეს უფრო პოპულისტური რაღაც მგონია. არ ვიცი, მიიღებენ თუ არ მიიღებენ, მაგრამ არც იმაზე ვინერვიულებ, თუ მიიღებენ. რაც უფრო ნაკლები ახალგაზრდა დასაქმდება საჯარო სამსახურში, მით უკეთესი იქნება ქვეყნისთვის. შესაძლოა ეს აბსურდი და უშინაარსოა, მაგრამ თუ ნაკლები პრეტენდენტი ეყოლება საჯარო სამსახურს, ჩემი აზრით, ეს ცუდი არ არის.

– რატომ ფიქრობთ ასე? გგონიათ კერძო სექტორს წაახალისებს?

– არა, არაფერს არ გამოიწვევს. არც მგონია, რომ ეს მიიღონ, იმიტომ, რომ არანაირი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არ არსებობს ამ ორ რაღაცას შორის. ალოგიკურია, შინაარსი არ გააჩნია, მაგრამ თუ მიიღებენ, სანერვიულო არაფერია. თუ ახალგაზრდების დიდი ნაწილი კერძო სექტორში წავა, თავისი ცხოვრების მანძილზე უფრო პროდუქტულები იქნებიან.

– თუმცა, ჩვენ ვსაუბრობთ სახელმწიფო სტრუქტურაზე, რომელიც ასეთი გადაწყვეტილების მიღებაზე ფიქრობს. რა ახსნა შეიძლება მოეძებნოს?

– წინააღმდეგი ვარ, რომ აბსურდულ გადაწყვეტილებებში ლოგიკური შედეგები ვეძებოთ. შეიძლება ეს იყოს იმით განპირობებული, რომ ვიღაც საჯარო პირმა ასე ჩათვალა საჭიროდ, რომ თავისი კარიერისთვის ეს უკეთესია. აქედან გამომდინარე, როცა ზუსტად არ ვიცით რა მოხდა, ნებისმიერი პროგნოზის კეთება არასწორია ამ დროს. ამის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე საუბარი ჩემი მხრიდან სპეკულაცია გამოვა.

– ანუ მაინც პოპულიზმად მიიჩნევთ?

– უშინაარსო ქმედებად მიმაჩნია. არავინ არ იცის, საერთოდ არის თუ არა პოპულისტური. შეიძლება პოპულისტურიც კი არ იყოს, რადგან ხალხსაც არ მოეწონოს. მე რომ შემეხება, თქვენ რომ შეგეხებათ, სხვას რომ შეეხება. თუ ჩვენ ვართ ადამიანები, ვისაც აინტერესებს საჯარო სამსახური, ჩვენ ხომ არ მოგვეწონება ეს?! ხომ ვიცით, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახური კავშირში არ არის თავდაცვისუნარიანობის სიძლიერესთან.

– დისკრიმინაციულადაც ხომ არ მიიჩნევთ ამ იდეას?

– არა მგონია, უბრალოდ, სულელურია. პირობას დაგიდებ, რომ თუ ამას არ გააკეთებ, მაშინ საჯარო სამსახურში არ მიგიღებ, ეს სულელურია. ზოგადად სავალდებულო სამხედრო სამსახური დისკრიმინაციულია. პრობლემა სხვა რამეა. როდესაც იძულებით რაღაცას გაკეთებინებენ, დისკრიმინაციული როგორ არ არის.

– იყო დაპირება, რომ უნდა გაუქმებულიყო სავალდებულო სამხედრო სამსახური. თავდაცვის წინა მინისტრმა გააუქმა კიდეც, მაგრამ დღევანდელმა ისევ აღადგინა.

– თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელს არ გაუუქმებია ზოგადად გაწვევა. მან გააუქმა თავისი უწყების მიერ. თორემ იწვევდა შსს, სასჯელაღსრულების სამინისტრო.

– კი ბატონო, გააუქმა ის, რაც თავის დაქვემდებარებაში იყო. საბოლოოდ რატომ არ ამბობს ხელისუფლება ამაზე?

– ეს ხომ პოლიტიკური გემოვნების საკითხია. ჩვენი ხელისუფლება ბევრ ისეთ რაღაცასაც არ აკეთებს, რაზეც დიდი ხანია კამათი დასრულებულია. ვიღაცებს ჩამოვრჩებით. რატომ ვერ ბედავს ამ გადაწყვეტილების მიღებას, მსჯელობა იმაზე, რომ ხელისუფლებაში ვიღაცას ეს მიაჩნია სწორად, ესეც სპეკულაციაა.

– ისიც ხომ არ არის მიზეზი, რომ რაღაც უწყებებში, ვთქვათ, სჭირდებათ უფასო დარაჯი და ა.შ.?

– შესაძლოა, ეგეც იყოს, მაგრამ ამით ფულს არ ვზოგავთ. ეს არის პოლიტიკური პოზიციონირება. თითქოს თავს ვიწონებთ, რომ აი ქვეყანას ვიცავთ. სავალდებულო სამხედრო სამსახური ასევე ფასი ჯდება. უფასო ხომ არ არის?! კომისრები და ვიღაცები აღსრულებას ახორციელებენ. მათი რესურსების გათვალისწინება ხარჯებზე ორიენტირებული არ მგონია. დაცვა ყველგან ხომ არ არის საჭირო? შეიძლება მათი ტექნოლოგიებით ჩანაცვლებაც. მაგ კითხვაზე პასუხი გადის იმაზე, გვინდა თუ არა სავალდებულო სამხედრო სამსახური, როგორც პოლიტიკური მოვლენა. ამაზე გავდივართ, თორემ საჭიროების შემთხვევის გათვალისწინებით რომ შევხედოთ, აბსოლუტურად სხვა შედეგს მივიღებდით და გვეცოდინებოდა, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახური აქამდეც უნდა გაუქმებულიყო.

ირაკლი სესიაშვილი გვეუბნება, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახურის საჯარო სამსახურთან მიბმა ე. წ. „ფეიქ ნიუსია“. ამბობს, რომ ყოველ შემთხვევაში, პარლამენტში მსჯელობა არ ყოფილა. დეპუტატის თქმით, მუშაობენ იმისთვის, როგორ წახალისდეს სავალდებულო სამხედრო სამსახური.

– როგორ აფასებთ ინფრასტრუქტურის სამინისტროს იდეას იმის თაობაზე, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახური არა თუ სავალდებულო დარჩეს, არამედ საჯარო სამსახურში მუშაობაც კი შეიზღუდოს?

– პირველ რიგში უნდა ვთქვათ, რომ ეს არის „ფეიქ ნიუსი“. არანაირი მსგავსი პროექტი არც პარლამენტში შემოსულა და როგორც ვიცი, არც მთავრობას აქვს.

– არა. ინფრასტრუქტურის სამინისტრომ გააკეთა იდეა და

გაგრძელება მე-5 გვერდზე

„გრძელდება საუკუნეების წინ დაწყებული საქართველოს ეკლესიის დასუსტება“

მარიამ მჭედლიშვილი

თამარ ჩხეიძე: „ბანკზე შეტევა ანტისახელმწიფოებრივია“

საქართველოში ხდება ბევრი მოვლენა, რომლებიც ქაოსის ნიშნებს შეიცავს. ქვეყანაში მიმდინარე რამდენიმე პროცესზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დისიდენტსა და ყოფილ დეპუტატს, თამარ ჩხეიძეს.

თამარ ჩხეიძე:

– ქვეყანაში ხდება ის, რაც დაანონსა ბიძინა ივანიშვილმა. დაახლოებით ორი თვის წინ მან გამოაცხადა, რომ ერთი წელი სჭირდება პრობლემების მოსაგვარებლად და დასალაგებლად. ხდება თავდასხმები სხვადასხვა ინსტიტუტზე და მათი დასუსტება. ამით დაინტერესებულია რუსეთი. ამ პროცესებს ანტისახელმწიფოებრივი სახე აქვს და ივანიშვილის გადაწყვეტილებები ზიანს აყენებს ქვეყანას.

– ეს თიბისისა და მამუკა ხაზარაძის საკითხსაც ეხება?

– რასაკვირველია. მამუკა ხაზარაძეს და მის პარტნიორ ბადრი ჯაფარიძეს ედავებიან ფულის გათეთრების 11 წლის წინანდელ ფაქტს. სპეციალისტები, მათ შორის, რომან გოცირიძე, განმარტავენ, რომ არანაირი გათეთრება არ ყოფილა. ჩემი აზრით, რომც ყოფილიყო, ეს არ გამხდარა მათზე შეტევის მიზეზი. იმას კი არ უნდა ვიკვლევდეთ, ამდენი წლის წინ ფულის გათეთრება მოხდა თუ გამწვანება! უნდა შევაფასოთ, რატომ ესხმიან თავს ძლიერ ბანკს, რომელიც ეკონომიკის ერთ-ერთი საფუძველია.

არც ერთი ბანკი არ არის ანგელოზების ბუდე. საქართველოში მაღალი საბანკო პროცენტებია, მაგრამ საბანკო სისტემაზე ასეთი იერიში აზიანებს ქვეყანას, ხალხს. ასეთი ქმედებები ანტისახელმწიფოებრივია.

– ამის მიზეზები რა შეიძლება იყოს?

– ჯერ ერთი, ეს ხალხი ჩართული იყო ანაკლიის პორტის მშენებლობაში. რუსეთისთვის მისი მშენებლობა მიუღებელია. გარდა ამისა, მიზეზი დევს ივანიშვილის ქცევებსა და შეხედულებებში. მას არ უყვარს, როცა ვინმე ბოლომდე მისი მორჩილი არ არის. ცნობილია ხაზარაძის კავშირი გადაყენებულ კვირიკაშვილთან. მარტო ესეც საკმარისი იქნებოდა ივანიშვილის სამიზნეში მოსახვედრად. მთავარ მიზეზს მე მაინც სხვა რამეში ვხედავ. ეს არის რუსეთის ხელისუფლების მოწადინება, რომ საქართველო არ განვითარდეს და მას არ ჰქონდეს მძლავრი ინსტიტუტები.

– ხალხს ბანკების მიმართ დიდი სიმპათია არ აქვს, მაგრამ ივანიშვილის რეიტინგი ამ პირებზე ბევრად უფრო დაბლა დაეცა?

– შეიძლება ითქვას. თუ ხელისუფლებას კარგი რამის გაკეთება უნდა, დასწიოს პროცენტები ბანკებში და არ დაუშვას, რომ ვალების გამო ხალხი მასობრივად უსახლკაროდ რჩებოდეს. ესაა გასაკეთებელი და არა ის, რასაც ხელისუფლება ამჟამად აკეთებს. საზოგადოებას ბანკების დასუსტება არ მოუთხოვია. ხალხის დაკვეთა სულ სხვა რამეში მდგომარეობს. ბანკები ხალხს სჭირდება ისევ, როგორც რეალური ნორმალური სასამართლო.

– სამართლიანი მართლმსაჯულებისთვის საფუძვლის შექმნა უახლოეს ხანში რეალურად მიგაჩნიათ?

– ეს აუცილებელია, მაგრამ იმათი გულწრფელობისა არ მჯერა, ვინც ამ საკითხებზე ყველაზე მეტს ხმაურობს. ეკა ბესელიას მოტივები ნდობას არ იწვევს.

– რატომ?

– ეკა ბესელია მანამდე მშვენივრად ეგუებოდა სისტემას, კანონმდებლობას და იმ მოსამართლეებს, რომლებზეც ახლა ალიაქოთი ატყდა. ჩინჩალაძე და მურუსიძეც შესანიშნავად გრძნობდნენ თავს. ისიც ცნობილი იყო, რომ მოსამართლეებს უვადოდ გაამწესებდნენ.

მათ ნაცმოძრაობის მოსამართლეებს უწოდებენ. ნაცმოძრაობიდან მოდიან ისინი თუ სხვა სტრუქტურებიდან, ამას მნიშვნელობა არ აქვს. ისინი ბოლო წლებში თავიანთ ადგილებზე და უფრო მაღალ ინსტანციებში აღმოჩნდნენ არა იმის გამო, რომ ადრე ნაციონალებთან იყვნენ, არამედ იმიტომ, რომ მორჩილად ასრულებდნენ ზევიდან წამოსულ ბრძანებებს.

მაშინ „ქართული ოცნების“ არც ერთ წევრს და გუნდს ამაზე სიტყვა არ უთქვამს. ბოლო დროს ჯგუფებს შორის დაპირისპირება გაღრმავდა. ივანიშვილმა ერთი ჯგუფი შეზღუდა, ჩააჩოჩა. ამ ჯგუფმა დაიწყო ვითომ სამართლიანობისათვის ბრძოლა. თუ ასეთი მებრძოლია ბესელია, უდანაშაულო ხალხს რატომ არ ესარჩლება!

– რა გაქვთ მხედველობაში?

– მოხდა საშინელი ფაქტი, როცა ეკა ბესელიას გაუვრცელეს პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეო. ამაზე კიდევ უფრო უარესია უდანაშაულო ადამიანების დაკავება ამ საქმეზე. ზოგიერთი აშკარად პოლიტიკური ნიშნით არის დასჯილი. მესენჯერში შეიძლება მომხმარებელს ვიღაცამ რაღაც გაუგზავნოს. ამის გამო ადამიანი დამნაშავედ გამოაცხადო, ეს დიდი უსამართლობაა. თუნდაც, რომელიმე მათგანს მეგობრისთვის პირად მიმოწერაში გადაეგზავნა მიღებული ვიდეო, ამისთვის მოქალაქე მკაცრად უნდა დასაჯო? ეს ნონსენსია. ალბათ, ეს ყველაფერი სამზადისია იმისათვის, რომ სოციალურ ქსელებში ცენზურა დააწესონ.

– სოციალურ ქსელებში ცენზურა წესდება?

– ხელისუფლების სხვადასხვა წარმომადგენელმა ბევრჯერ ისაუბრა სასჯელის გამკაცრებაზე შეურაცხყოფისა და ცილისწამებისათვის. სალომე ზურაბიშვილმა ამ კუთხით სოციალური ქსელებიც ახსენა. აშკარაა, რომ უნდათ ცენზურის შემოღება ქსელში.

– ეს თუ მოხდა, საქართველო რუსეთისაგან და ჩინეთისაგან არაფრით განსხვავებული სახელმწიფო არ იქნება.

– მათი მიზანიც ეს არის. დემოკრატიულ სახელმწიფოში ადამიანებს ასე მოექცეოდნენ? დამაფიქრებელია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გარშემო მიმდინარე მოვლენები.

– ციანიდის საიდუმლოებით მოცულმა საქმემ ეკლესიას დარტყმა მიაყენა, ამ საქმეზე დაპატიმრებული დეკანოზი გიორგი მამალაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა. ამას გულისხმობთ?

– საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია დაპყრობისთანავე გახდა ე.წ. ერთმორწმუნე რუსეთის სამიზნე. სხვა სარწმუნოების ბევრი დამპყრობელი ჰყოლია საქართველოს, მაგრამ ისეთი მიზანმიმართული და ორგანიზებული შტურმი საქართველოს ეკლესიაზე, რასაც რუსეთი ჩადიოდა, სხვების მხრიდან არ ყოფილა. ბრძოლა ქართული ეკლესიის დასუსტებისათვის, მისი ძარცვა-გლეჯა ბოლშევიკებს არ დაუწყიათ. რუსეთიდან შემოსულმა ბოლშევიზმმა ეს გააგრძელა.

– ახლაც გრძელდება ეკლესიაზე შეტევები გარედან?

– ჩვენს ეკლესიას ორი მხრიდან უტევენ – შიგნიდან, ანუ თვითონ ეკლესიიდან და გარედან. ეკლესიას ასუსტებენ როგორც საპატრიარქოს შიგნით მოკალათებული რეტროგრადები, ისე ფსევდოლიბერალები. ისინი კომპლექსურად უთხრიან ძირს ეკლესიას. საბოლოოდ, ამას კარგად იყენებენ ათეისტები.

ციანიდის საქმე და ამ საქმეზე დაკავებული გიორგი მამალაძე ამ პროცესების ნაწილი და მსხვერპლია. ამ მოვლენებს ხელს უწყობს საპატრიარქოში მყოფი სამღვდელოებისა და საზოგადოების ნაწილი. კათოლიკოს-პატრიარქს მისი ასაკიდან და ხასიათიდან გამომდინარე, სულ უფრო უჭირს ამ ხალხთან დაპირისპირება. იგი დიდი ხანია ზეწოლის ქვეშ იმყოფება. მისი უწმინდესობა თვითონ პროგრესულად და ეროვნულად მოაზროვნე სასულიერო ლიდერია, რომელიც, გარკვეულწილად, მძევლობაშია.

ჩვენს ეკლესიაში ძლიერია რუსული გავლენა. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი საპატრიარქო უყოყმანოდ აღიარებდა უკრაინის ავტოკეფალურ ეკლესიას. ამ ეკლესიას აქვს მსოფლიო პატრიარქის მხარდაჭერა. ჩვენ გამოვდივართ ოკუპანტი და დამპყრობელი რუსეთის მომხრე და არა – უკრაინის ავტოკეფალიის მხარდამჭერი.

ვერ გავიგე ერთი რამ – ნუთუ იმისთვის, რომ ადამიანი ციხეში აზიარო, აქციებია საჭირო? სასულიერო პირია ეს თუ ჩვეულებრივი მოქალაქე ქრისტიანი, თუ ადამიანს ზიარების სურვილი აქვს, ამას აქციები რატომ უნდა დასჭირდეს?!

საპატრიარქო თავიდანვე გვერდით უნდა დასდგომოდა მამა გიორგის. ახლა მაინც გახდნენ სასულიერო პირები მისი სოლიდარულები და მოითხოვონ მისი გათავისუფლება.

ვახტანგ მაისაია: „ნატოს გაფართოების პროცესი დასასრულს უახლოვდება“

საქართველოს ნატოში მიღების საკითხი გააქტიურდა სააკაშვილის რეჟიმის მშვიდობიანი გასტუმრების შემდეგ. მანამდე სააკაშვილის ძალადობრივ რეჟიმს ნატოში არავინ მიიღებდა.

გულიკო ბალაძე

რა მნიშვნელობა აქვს საქართველოს უსაფრთხოებისთვის მიუნხენის კონფერენციაზე საქართველოს მონაწილეობას? რამდენად ახლოს არის საქართველო ნატოში მიღებასთან? საქართველოს უსაფრთხოების დაცვა რამდენად არის მნიშვნელოვანი ნატოსთვის, იგივე ჩვენი მოკავშირე ამერიკისთვის, ამის თაობაზე „ახალ თაობას“ ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში **ვახტანგ მაისაია** ესაუბრა.

– რა მნიშვნელობა აქვს მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე საქართველოს მონაწილეობას?

– მიუნხენის კონფერენცია სათავეს 2003 წლიდან იღებს. ეს არის გერმანიის ინიციატივა. ძირითადად მოიცავს, ევროპული და ევროატლანტიკური უსაფრთხოების თემებზე მაღალი დონის ექსპერტების, პოლიტიკოსების მიწვევას და იმ პრობლემატური თემების განხილვას, რომელიც უკავშირდება ევროატლანტიკურ და ევროპულ სივრცეში უსაფრთხოების საკითხებს, გამოწვევებსა და მათი გადაჭრის გზების ძიებას.

– რამდენად საინტერესოა ჩვენთვის ეს ფორმატი?

– ევროპულ და ევროატლანტიკური სივრცის ფორმატში ძალიან საინტერესო თემების განხილვა-ლობირება ხდება არაფორმალურ ვითარებაში მაღალი დონის ექსპერტების, პოლიტიკოსებისა და მასმედიის მიერ. საქართველოსთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი დონის ღონისძიებაზე საქართველოს უსაფრთხოების საკითხის განხილვა.

– ნატოს თვითონ აქვს პრობლემები შიგნით (ტრამპის განცხადებებიდან გამომდინარე ვსაუბრობ), თუმცა, ნატოს გაფართოების პროცესი არ გადადებულა. ჩრდილოეთ მაკედონიის მიღების გადაწყვეტილება მიღებულია. ჩვენ რა გველოდება?

– ნატოს გაფართოების პროცესი ლოგიკურად დასასრულს უახლოვდება. ნატოში გაწევრიანების მსურველი სამი ქვეყანა დარჩა – ბოსნია-ჰერცოგოვინა, საქართველო და უკრაინა. წლების განმავლობაში სხვა ქვეყნებს ნატოში გაწევრიანების არავითარი სურვილი არ გამოუხატავთ. ამ სამი ქვეყნის მიღებით დასრულდება ნატოს გაფართოების პროცესი და ნატო მიიღებს თავის კანონზომიერ ფორმას.

– რამდენად მიუახლოვდა საქართველო ნატოში მიღებას?

– ჯერ ჩრდილოეთ მაკედონიას მიიღებენ, შემდეგ ბოსია-ჰერცოგოვინაზე მიდგება ჯერი. უკრაინისა და საქართველოს ნატოში მიღების საკითხი იმის მიხედვით გადაწყდება, როგორ განვითარდება მოვლენები ამ ორ ქვეყანაში. უკრაინაში წელს მარტში დანიშნულია საპრეზიდენტო არჩევნები. სავარაუდოდ, შეიძლება, მეორე ტურიც იყოს. ასევე ამა წლის სექტემბერ-ოქტომბერში უკრაინაში დაგეგმილია საპარლამენტო არჩევნებიც. მნიშვნელობა ექნება იმას, როგორი პოლიტიკური ძალები მოვლენ, გააგრძელებენ თუ არა საგარეო პოლიტიკურ კურსს, რომელიც პოროშენკოს ხელისუფლებას გააჩნია.

უკრაინის ნატოში მიღება ბევრ ფაქტორებზეა დამოკიდებული. მნიშვნელობა აქვს იმას, რუსული აგრესიის ზონა რამდენად გაფართოვდება. ჩვენთან ეს პრობლემა ეხება საქართველოში არსებული პოლიტიკური პროცესების განვითარებას, სოციალ-ეკონომიკური განვითარების ტემპებს, ოკუპირებული ტერიტორიების საკითხიც საკმაოდ სერიოზული ბარიერია საქართველოს ნატოში გაწევრიანების გზაზე.

თუმცა, საქართველო ყველანაირად ცდილობს ყველა დავალება შეასრულოს და წარმატებით გადალახოს ბარიერი. ეს დამოკიდებულია ქვეყანაში თავდაცვის რეფორმების განვითარების ტემპებზე, მის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე. ბოსნია-ჰერცოგოვინის, უკრაინისა და საქართველოს ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში მიღების საკითხი ნატოსთვის ძალიან აქტუალური იქნება. არც ბოსნიაშია დალაგებული სიტუაცია. იქაც არის რთული პროცესები. იმდენად ლატენტურად რთული, რომ ზედაპირზე მაინცდამაინც არ ჩანს.

ბოსნია კონფედერაციაა და კონფედერაციის შიგნით ნატოში გაწევრიანებისადმი დამოკიდებულებაც განსხვავებულია. ბოსნიამ უსაფრთხოებისა და თავდაცვის მიმართულებით სწორი რეფორმები უნდა გაატაროს.

ძალიან მნიშვნელოვანია, როგორ დამთავრდება ახალი ცივი ომი რუსეთსა და ამერიკას შორის. ყველაფერი დამოკიდებულია არსებული პრობლემების გადაწყვეტაზე. ჩრდილოეთ მაკედონიის ნატოში მიღების პროცესი სამომავლოდ კიდევ უფრო დაჩქარდება. გარკვეულ დროს წაიღებს პროცესუალური მხარე. მართალია ჩრდილო-ატლანტიკურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება და მოაწერა ხელი ჩრდილო მაკედონიის ნატოში მიღებას, რაც მთავარი დოკუმენტია, მაგრამ ამ დოკუმენტის რატიფიკაცია ნატოს წევრ 29 სახელმწიფოში უნდა მოხდეს. ეს გარკვეულ დროს მოითხოვს. ალბათ, ნატო სამომავლოდ ამ პროცესით იქნება დაკავებული.

ნატო გააგრძელებს დახმარების განვითარებას. მნიშვნელოვანია საქართველოსა და უკრაინისთვის მაპის მინიჭების თემა. მაპის მინიჭების საკითხი არავის გაუუქმებია. ნატოში გაწევრიანებისთვის მაპი სერიოზულ მოთხოვნად რჩება. მაპის სტატუსის მინიჭება მოხდება ნატოს მინისტერიალების ან მოახლოებული ნატოს სამიტის პერიოდში. ეს რეალური ინდიკაცია იქნება, რამდენად დაიძრა ადგილიდან საქართველოს ნატოში მიღების საკითხი.

– ჩრდილოეთ მაკედონიას მაპი მინიჭებული ჰქონდა?

– რა თქმა უნდა. მგონი ბოსნია-ჰერცოგოვინასაც გააჩნია მაპი, მაგრამ იქ სხვა პრობლემებია. ნატოსთვის მნიშვნელოვანია მთლიანად სამხრეთ აღმოსავლეთი ევროპის ათვისება. ბალკანეთის ნახევარკუნძულის ათვისება და ნატოს გაფართოების პროცესის დასრულება.

სერბეთი ნატოსკენ მაინცდამაინც არ მიილტვის, გასაგები მიზეზების გამო ბოსნიაში რჩება გარკვეული პრობლემები რეფორმისა და სხვა მიმართულებით. კოსოვოს მიღება ნატოში არ იგეგმება. კოსოვოს გააჩნია რთული საერთაშორისო სამართლებრივი აღიარების ფორმა. მისი მიღება ნატოს სტრუქტურებში პრობლემებს შეუქმნის როგორც ნატოს წევრ სახელმწიფოებს, ასევე იმ კანდიდატებსაც, რომლებსაც უნდათ ნატოში გაწევრიანება.

– 2008 წელს ომამდე უარი გვითხრეს მაპზე. ომის შემდეგ, საერთოდ, ნატოში მიღების საკითხი გაიყინა. მიუნხენის კონფერენციის კონტექსტიდან გამომდინარე, სადაც ნატოს ხელმძღვანელობასთან შეხვედრები გაიმართა მრგვალი მაგიდის ფორმატში, შეიძლება ვთქვათ, რომ საქართველოს ნატოში მიღების საკითხი გააქტიურდა?

– საქართველოს ნატოში მიღების საკითხი გააქტიურდა სააკაშვილის რეჟიმის მშვიდობიანი გასტუმრების შემდეგ. მანამდე სააკაშვილის ძალადობრივ რეჟიმს ნატოში არავინ მიიღებდა. პირდაპირ მიგვანიშნებდნენ, რომ ავტორიტარული სტილის მმართველობა ქვეყანას პრობლემებს უქმნიდა. ამიტომ იმ პერიოდში ჩვენი ნატოში მიღება გამორიცხული იყო.

სააკაშვილის ხელისუფლებიდან მშვიდობიანი გასტუმრების შემდეგ, საქართველომ მიიღო გაფართოებული პაკეტი, საქართველო გახდა ნატოს ასპირანტი წევრი სახელმწიფო. ახლა ჩვენ მივილტვით ნატოს წევრობის კანდიდატის სტატუსისკენ. შესაბამისად, მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივები დაისახა.

მნიშვნელოვანია საქართველოს ტერიტორიაზე ნატოს საწვრთნელი ცენტრის გახსნა, რაც

სააკაშვილის რეჟიმის დროს წარმოუდგენელი იყო.

– სააკაშვილს ძალიან ენდომებოდა ასეთი ცენტრის გახსნა.

– თუ სააკაშვილს უნდოდა ნატოს საწვრთნელი ცენტრის გახსნა, ციხეები არ უნდა დაემსგავსებინა საკონცენტრაციო ბანაკებისთვის, ახალგაზრდები არ ჩაეცხრილა ქუჩებში, აქციები არ დაერბია, რაც იყო სააკაშვილისა და მისი მანიაკალური რეჟიმის სურვილები. მისი ქმედებები და სურვილები წინააღმდეგობაში მოდიოდა ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ ღირებულებებთან. ნატოში მიღება სამხედრო კუთხით განვითარებას არ ნიშნავს. თუ ქვეყანაში პოლიტიკური თავისუფლება, დემოკრატიული საზოგადოების ნიშნები არ არის, ნატოში არავინ მიგიღებს.

ნატო, პირველ რიგში, დემოკრატიული ქვეყნების კლუბია. თუ შენ დემოკრატიული საფუძვლები მორყეული გაქვს, ნატოს კარი შენთვის ჩარაზულია. სააკაშვილი ყირამალა რომ დამდგარიყო, ჰიბრიდული დემოკრატიისა და ავტორიტარიზმის პირობებში ნატოში არავინ მიგვიღებდა. სააკაშვილის ჩამოცილების შემდეგ გამოჩნდა ნატოში მიღების რეალური სვლები. ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებას პოსტსააკაშვილისეული ხელისუფლების პირობებში მოეწერა ხელი.

– ჩვენ გვაინტერესებს, როგორ იქნება შეკავებული რუსეთის აგრესია, რომელიც ყოველწუთიერად თავს გვახსენებს ადამიანების გატაცებებით, ე.წ. საზღვრის გავლებით, მავთულხლართებით? საქართველოს უსაფრთხოების დაცვა რამდენად არის მნიშვნელოვანი ნატოსთვის, იგივე ჩვენი მოკავშირე ამერიკისთვის?

– მათთვის ჩვენნაირი სახელმწიფოების დაცვა და მხარდაჭერა მნიშვნელოვანი ამოცანაა. ეს ამერიკის კონგრესმა არაორაზროვნად გამოხატა თავისი რეზოლუციით. ამერიკის ხელისუფლება აგრძელებს საქართველოს დახმარებას სხვადასხვა სახით, საქართველოს თავდაცვის ძალების ახალი შენაერთების წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის მომზადებით. ამერიკის რესურსებიც უკიდეგანო არ არის.

ამერიკას გააჩნია სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი პოლიტიკური გამოწვევები. ამერიკაში შიგნით საკმაოდ რთული სიტუაციაა, სადაც დღემდე ბიუჯეტის მიღების პრობლემა დგას და სერიოზულ პოლიტიკურ კრიზისშია ჩართული. ტრამპი უფრო ნეოიზოლაციონალისტური კურსის მიმდევარია, წინა პრეზიდენტების კურსისაგან განსხვავებით.

ევროპაშიც სერიოზული გამოწვევებია როგორც ნატოს, ასევე ევროგაერთიანების ფარგლებში. საფრანგეთში არის ე.წ. ყვითელი ჟილეტების ამბოხი. გერმანია სახელისუფლებო ცვლილების პროცესშია. მნიშვნელოვანია, ვინ გაიმარჯვებს. ბრექსიტის პროცესი იწყება. ასევე გამოჩნდა თურქეთი. მიუნხენის კონფერენციაზე დაფიქსირდა, ამერიკამ თურქეთს პირდაპირ წითელი ბარათი აჩვენა. ამერიკის ვიცე-პრეზიდენტმა პენსმა პირდაპირ თქვა, თუ ნატოს მოკავშირე თურქეთი ნატოს მოწინააღმდეგისაგან შეიარაღებას შეიძენს, სერიოზული პრობლემები შეექმნება. იგულისხმება რუსული შეიარაღების შეძენა. ამერიკა-თურქეთის ურთიერთობა კიდევ ერთხელ იძაბება. ამ რეალიების გათვალისწინებით, ძალიან სხვანაირად დგას ჩვენი უსაფრთხოება.

– ამ ვითარებაში ჩვენი პრემიერი შეხვდა ამერიკის ვიცე-პრეზიდენტს.

– ეს დადებითი ფაქტია. მნიშვნელოვანია ის, რომ ამერიკა საქართველოს 700 მილიონს გამოუყოფს. ამერიკას გათვალისწინებული ჰქონდა 300 მილიონი, მაგრამ 700 მილიონამდე გაზარდა.

– 700 მილიონი გრანტია?

– სავარაუდოდ, სამხედრო დახმარება იქნება. სამხედრო შეიარაღების შეძენისთვის, სამხედრო აღჭურვისთვის და, ბუნებრივია, გრანტის სახე ექნება. პოზიტივი არის.

– მიუნხენში ნატოსა და საქართველოს დელეგაციის შეხვედრები გაიმართა. ხვალ რომ ნატოს მხრიდან თანხმობა იყოს, ჩვენი სამხედრო და პოლიტიკური ხელმძღვანელობა და სისტემა მზად არის ნატოში გაწევრიანებისთვის?

– შარშან მე ვიყავი მაკედონიაში. მაკედონიასთან შედარებით ჩვენ გაცილებით ძლიერი პოზიცია გვიჭირავს. თუ მაკედონიას, ჩერნოგორიას, ალბანეთს აქვს უფლება, ნატოში გაწევრიანდეს, ჩვენი პოტენციალის მქონე ქვეყანა (რომელიც ავღანეთში ნატოს ოპერაციაში მონაწილეობს მაღალი დონის პროფესიონალებით, ხარჯებს საქართველო გამოყოფს თავისი ბიუჯეტიდან) სავსებით აკმაყოფილებს ნატოს სტანდარტებს. შეიარაღების კუთხითაც, საქართველოს სერიოზული პოტენციალი გააჩნია. ჩვენი შეიარაღებული ძალების მართვის სისტემის მოდერნიზაცია მოხდა. საქართველოს ჩამოყალიბებული აქვს ტერიტორიული თავდაცვის ძალების კონცეფცია. იგეგმება ჩვენი თავდაცვისუნარიანობის კიდევ უფრო გაძლიერება. სამხედრო სკოლებშიც შემოიღებენ სამხედრო კურსის სწავლებას.

სამხედრო განათლების მიმართულებით ჩვენი მოსახლეობა კიდევ უფრო იზრდება. ამ კომპონენტებით, საქართველოს არც კი შეედრება მაკედონია და ჩერნოგორია. საქართველოშიც არსებობს პრობლემები – პოლიტიკური კრიზისის ნიშნები შეიმჩნევა, პოლიტიკური არქიტექტურის კუთხითაც სერიოზული პრობლემებია. თუმცა, საქართველოს მთავარი პრობლემა ოკუპირებული ტერიტორიები და რუსეთის ფედერაციასთან სერიოზული დაპირისპირების არსებობაა. დღეს ჩვენ რუსეთთან საომარ მდგომარეობაში ვიმყოფებით. ესეც მნიშვნელოვანი ფაქტორია.

იგივე უკრაინასა და რუსეთს შორის არის პირდაპირი პოლიტიკური დიალოგი. ამ ქვეყნებში მათი საელჩოები მოქმედებენ. მოქმედებს ნორმანდიული და მინსკი-2-ის ფორმატი, სადაც რუსეთისა და უკრაინის წარმომადგენლები დიალოგს ახორციელებენ. რუსეთსა და უკრაინას შორის ცუდი ურთიერთობებია, მაგრამ საომარი მდგომარეობა არ არის. ჩვენთან საომარი მდგომარეობა პირდაპირაა დაფიქსირებული, პოლიტიკური ურთიერთობა შეწყვეტილია, საოკუპაციო ხაზებია გავლებული, რომელსაც აკონტროლებს ევროკავშირის მისია. ამას პლუს, საქართველო არის ჰიბრიდული ომის მსხვერპლი.

იაგო ხვიჩია: „სავალდებულო სამხედრო სამსახურის საჯარო სამსახურთან მიბმის იდეა სულელურია“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

თქვა, რომ ინიციატივა არ არის, თუმცა მსჯელობას ვგეგმავთო.

– მე მსგავსი წინადადება არ მინახავს და არც ჩვენს კომიტეტში ყოფილა მსგავსი იდეის განხილვა. ვიცი, რომ მსგავსი ინიციატივის განხილვა არ მოხდება. დანარჩენი, ვინ რაზე მსჯელობს და რა შეიძლება გახდეს სავალდებულო სამსახურისთვის წახალისება, ეს არ ვიცი.

მე შემიძლია გითხრათ, ჩვენ რაზე ვმუშაობთ, რომ წავახალისოთ სავალდებულო სამსახური. მაგალითად არის ის, რომ სხვადასხვა უწყებებში შემცირდეს წვევამდელთა გაწვევა და მთლიანად ორიენტირებული იყოს, რომ სამხედრო ინტერესებს მოხმარდეს. ამ თემაზე სხვა კომენტარი არ მიმაჩნია მართებულად.

– თუ დღის წესრიგ ში დადგება, იდეას მხარს არ დაუჭერთ?

– არ დგას. ასე შეგიძლიათ ყველაფერზე მკითხოთ, დღის წესრიგში რომ დადგესო. როცა დღის წესრიგში არ დგას, მიჭირს ამაზე მსჯელობა.

– ბევრჯერ იყო დაანონსებული სავალდებულო სამხედრო სამსახურის გაუქმება. რატომ არ მიიღეთ საბოლოოდ ასეთი გადაწყვეტილება?

– ძველი თემაა ეს. იცით, რომ ჩვენ ტოტალური თავდაცვის პრინციპი გვაქვს, იცით, რომ მთავრობამ პარლამენტთან ერთად შეიმუშავა სარეზერვო სამსახურის შესახებ კონცეფცია და შესაბამისი ცვლილებები მიიღო. ეს სისტემა ძალიან მნიშვნელოვანია. სავალდებულო სამხედრო სამსახური რჩება ტოტალური თავდაცვის სისტემის პრინციპებიდან გამომდინარე და ამასაც თავისი მნიშვნელობა არ აქვს.

ნატოს წევრმა რამდენიმე ქვეყანამ თავის დროზე გააუქმა სავალდებულო სამხედრო სამსახური და დღეს ისევ დაუბრუნდნენ ამ სისტემა.

– ამერიკაში დღესაც გაუქმებულია და ვერავინ იტყვის, რომ სხვაზე ნაკლები თავდაცვისუნარიანობა აქვს.

– ბევრი არგუმენტი არსებობს, რატომ უნდა იყოს სავალდებულო სამხედრო სამსახური. თუმცა, ჩვენი ამოცანაა, რომ მაქსიმალურად შევამციროთ იმ წვევამდელთა რაოდენობა იმ უწყებებში, რომლებიც სამხედრო მიზნებზე არ არიან ორიენტირებული. თავდაცვის მინისტრმა შეიმუშავა კარგი კონცეფცია და ყველა გადის იმ მომზადებას, რასაც საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურე გადის. შესაბამისად, ეს მომავალში სხვა უწყებებსაც შეეხება. ამ და სხვა გეგმებზე უახლოეს ხანებში ვისაუბრებთ.

დავით მესხიშვილი: „ავტოდაზღვევას და ტექინსპექტირებას ერთი კომპანია აკეთებს, რაც ინტერესთა კონფლიქტია“

„ავტომობილების სავალდებულო დაზღვევაზე განხილვები უნდა ყოფილიყო, კითხვა ბევრია“

იაგო ნაცვლიშვილი

სავალდებულო დაზღვევა საქართველოში რეგისტრირებულ ყველა ავტომობილის მფლობელზე გავრცელდება. ფასები წელიწადში 75 ლარიდან 310 ლარამდე მერყეობს. ეს დამოკიდებულია ავტომობილის, მოტოციკლეტისა თუ სატვირთო ავტომობილის ტიპზე. რაც შეეხება ანაზღაურებას, ქონებისთვის მიყენებული ზარალის მაქსიმალური ოდენობა 25.000 ლარს ითვალისწინებს, ხოლო ჯანმრთელობის ან სიცოცხლისთვის მიყენებული ზიანი 30.000 ლარს.

გამართლებულია თუ არა სავალდებულო დაზღვევა, ხომ არ უნდა მომხდარიყო მისი განხილვა კანონპროექტის პარლამენტში ინიცირებამდე და რა კითხვები არსებობს ამ თემაზე? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის თავმჯდომარე დავით მესხიშვილი საუბრობს:

დავით მესხიშვილი:

– ველოდებით განხილვას, როცა ეს მოხდება კომიტეტზე. ძალიან ბევრი კითხვაა, ცოტა ბუნდოვანია და ბევრი დეტალი არ არის გარკვეული, ამიტომ ველოდებით განხილვას.

– პირადად თქვენ რა კითხვები გაქვთ?

– ჯერ დოკუმენტიც სანახავია. ვფიქრობთ, რომ იქ ბევრი რაღაცა არის გასაანალიზებელი. ახლა კონკრეტულ დეტალებზე საუბარი მიჭირს იმ მარტივი მიზეზების გამო, რომ დეტალები არ არის ცნობილი.

ნამდვილად არსებობს მესამე პირის დაზღვევა ძალიან ბევრ ქვეყანაში, მათ შორის ევროპულ ქვეყნებშიც, მაგრამ ვხედავთ, რომ ეს ძალიან კარგად გაწერილი დოკუმენტი უნდა იყოს და კითხვები არავის არ უნდა დაებადოს. ასე რომ, ველოდებით კომიტეტზე განხილვას.

– რაც შეეხება მის შემოღებას, ნაჩქარევად ხომ არ მოხდა? ვთქვათ ისე, რომ მძღოლების დიდ ნაწილს ინფორმაციაც არ ჰქონდათ?

– ჯერ არაფერი არ არის მიღებული, კომიტეტზეც არ განუხილავთ.

– ამ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღებას ვგულისხმობ.

– მე ყოველთვის ვამბობ, რომ საჭიროა საზოგადოებასთან ურთიერთობა მოსაზრებების თვალსაზრისით. იმდენად სწრაფად შევიდა კომიტეტში და უცბად გაიჟღერა, რომ ამას არანაირი მოსამზადებელი სამუშაოები არ უძღოდა წინ. ჩვენ, არასამთავრობოებიც არ ვიყავით კონსულტაციებში ჩართული და არ წარმოებდა ღია განხილვა. ითქვა, რომ აი კომიტეტები ზუსტად მაგიტომ არის. არ არის კომიტეტები მაგიტომ. რეალურად კომიტეტში ამა თუ იმ დოკუმენტის რეალურად დამუშავება მიმდინარეობს. ხშირად ნაკლებია შინაარსობრივი. მით უმეტეს, ისეთი ფორმატებია კომიტეტებში, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოების ჩართულობა არ არის ამ პროცესში.

არ ყოფილა საჯარო განხილვები, არ ყოფილა მოსაზრებები გაცვლილი. ჩემი აზრით, ასეთ დროს ეს წინ უნდა უსწრებდეს. გაიმართოს რაღაც კონფერენციები, სადაც კანონპროექტის ინიციატორები წარადგენდნენ ამას და გვკითხავდნენ მოსაზრებების გაზიარებას. ასეთი რაღაც არ ყოფილა.

იქ არის დეტალები, რაც უნდა გაიწეროს. მაგალითად, საგზაო სატრანსპორტო შემთხვევები. რომელი საგზაო სატრანსპორტო შემთხვევები. დავუშვათ თუ ეს ინფრასტრუქტურის ბრალია და ამის მიზეზით ხდება ავტოსატრანსპორტო შემთხვევა, დავუშვათ არის ღია ჭა, მოუწესრიგებელი გზა და ა.შ. ასეთ კონკრეტულ ვითარებაში რა იქნება და ბევრი სხვა კითხვაც არსებობს. კარგი იქნებოდა, ეს მანამდე განხილულიყო, კონფერენციის ფორმატში და მეტი საჯაროობა ყოფილიყო. ახლა ველოდებით კომიტეტებს, რომ იქ მაინც დავესწროთ და რაღაცა შევცვალოთ იმ მხრივ, რომ ეს უფრო მეტად წაადგეს ჩვენს მოქალაქეებს.

– ვინაიდან ამის წარმოდგენა საზოგადოებისთვის პოსტფაქტუმ მოხდა, როგორ ფიქრობთ, ის მაინც ხომ არ უნდა მოხდეს, რომ კანონის მიღებისთანავე არ ამოქმედდეს?

– არც ეგ არის გამორიცხული. აქ მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ ტექინსპექტირება საკმაოდ ხარჯიანი პროცესია მძღოლებისთვის. მარტო ის 60 ლარი არ არის, რასაც ტექინსპექტირებისთვის იხდიან. საჭიროა ინსპექტირებისთვის ავტომობილის მოწესრიგება. შეიძლება 300-400 ლარიც დაჯდეს, ზოგიერთ შემთხვევაში 500-იც იყოს საჭირო და ა. შ. ხარჯები ერთად აწვება მძღოლებს და გასათვალისწინებელია, რომ მათ მიეცეთ ამოსუნთქვის საშუალება იმისთვის, რომ ერთი ხარჯიდან მეორე ხარჯამდე რაღაცა პაუზა არსებობდეს. ხარჯიანი წელია ავტომფლობელებისთვის. მათთვისაც, ვისაც ავტომობილი გაზზე ჰყავს. იმიტომ, რომ იქ კიდევ დამატებითი ხარჯები არსებობს.

ბუნდოვანია თანხაც. 100-დან 150 ლარამდეა. რას ეყრდნობა ეს დათვლა. არ ვიცით, რა დაითვალეს და რატომ უნდა იყოს 100-დან 150-მდე და არა ვთქვათ 50-დან 100-მდე, ან უფრო მეტი.

თვითონ პრინციპი, რომ დაზღვევა იყოს, ნორმალურია, რომ მესამე პირის დაზღვევა იყოს და ყველა დაზარალებულის ხარჯები ანაზღაურებული იყოს, მაგრამ ეს უნდა იყოს ძალიან კარგად დაწერილი დოკუმენტი და ის არ უნდა აჩენდეს კითხვებს. დაწყებული საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებიდან, ხარჯებით დამთავრებული. ასევე, გასაჩივრების მექანიზმები. დავუშვათ, როდესაც იქნება სიტუაცია, როცა ვიღაცას არ უფინანსებენ და ეუბნებიან, რომ არ გეკუთვნის, სად არის ეს გასაჩივრების მექანიზმები.

ცუდია, რომ მანამდე არ იყო განხილული. როგორც ვხედები, ბიზნესთან კონსულტაციების შემდეგ წარმოდგენილი პროექტია. სადაზღვევო კომპანიებთან და არა ტრანსპორტის სექტორში მომუშავე არასამთავრობოებთან, რაც პირდაპირ ეხება საგზაო სატრანსპორტო შემთხვევებს.

– აქაც გაქვთ კითხვები?

– არ ვართ დაზღვეული ამ ნაწილში ინტერესთა კონფლიქტისგან. ვიცით, რომ არის ერთი კომპანია, რომელიც ბაზარზე ავტომობილების დაზღვევასაც აკეთებს და ამავდროულად – ავტომობილების ტექინსპექტირებას. ასეთ ვითარებაში ინტერესთა კონფლიქტთან გვაქვს საქმე. იმიტომ, რომ მას ექნება სურვილი, ბევრი ავტომობილი გაატაროს ინსპექტირებაზე, რათა მერე დააზღვიოს.

– რომელ კომპანიას გულისხმობთ?

– „ალდაგის“ შვილობილი კომპანიებია. ისინი ატარებენ ტექინსპექტირებასაც და ამავდროულად „ალდაგი“ არის ძალიან სერიოზული კომპანია სადაზღვევო ბიზნესში. ჩვენი ინფორმაციით, ევროპულ გამოცდილებაში ასეთი პრეცედენტი დაშვებული არ არის. იმიტომ, რომ ასეთ დროს კომპანიას ექნება სურვილი გაატაროს ბევრი ავტომობილი ინსპექტირებაზე, რათა შემდეგ დააზღვიოს. ან პირიქით, დაზღვეულზე სცადოს, რომ ის გაატაროს. ასე რომ, ეს ინტერესთა კონფლიქტს ჰგავს და აქ გვმართებს სერიოზული დაფიქრება.

ასეთმა ვითარებამ შეიძლება ორივე მხარე დააზიანოს. ინსპექტირებაც და დაზღვევის პრინციპიც. შესაძლოა ისეთი პრინციპიც იყოს შემოთავაზებული, რომ ჩვენთან დააზღვიეთ და ინსპექტირებას გაგატარებთ და ა. შ. არ ვამბობ, რომ ნამდვილად ასე მოხდება, მაგრამ ასეთი საკითხებისგან დაზღვეულები არ ვართ ამ კონონპროექტიდან გამომდინარე. ასე რომ, კითხვები ბევრია და საჭიროებს პასუხებს.

გია აბაშიძე: ნაციმოძრაობამ შეიძლება „ევროპულ საქართველოს“ რამდენიმე დეპუტატი „ასესხოს“

ლელა მდივანი

მმართველ გუნდში მოსამართლეების უვადო დანიშვნასთან დაკავშირებული უთანხმოება არ წყდება. შესაძლოა, ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობის გამო, „ქართული ოცნების“ რიგები რამდენიმე დეპუტატმა დატოვოს, რაც „ევროპული საქართველოს“ საპარლამენტო უმცირესობის სტატუსის დაკარგვასაც გამოიწვევს. ექსპერტი პოლიტიკის საკითხებში, **გია აბაშიძე** ვარაუდობს, რომ უმრავლესობა შესაძლოა, შვიდზე მეტმა დეპუტატმა დატოვოს.

„ახალ თაობასთან“ მათ ვინაობასაც ასახელებს, ვინც, მისი აზრით, შესაძლოა პარტიის გარეთ ვიხილოთ.

– ბატონო გია, დავით ჭიჭინაძე ფიქრობს, რომ უმრავლესობას გაზაფხულზე 7 დეპუტატი დატოვებს, რის შემდეგაც „ევროპული საქართველო“ საპარლამენტო უმცირესობის სტატუსს დაკარგავს, რადგან უმცირესობაში მყოფი დეპუტატების რაოდენობა უმცირესობის გარეთ მყოფთა რაოდენობას გადააჭარბებს.

– სავარაუდოდ, ეს შვიდი ადამიანი ის არის, ვინც ახალი მოსამართლეების დანიშვნა-არდანიშვნის გადავადებაზე შეიტანა საკანონმდებლო ინიციატივა. ჩემი ვარაუდით, შეიძლება მეტიც იყვნენ. მაგალითად, ბექა ნაცვლიშვილი უკვე ღიად აცხადებს უმრავლესობიდან წასვლის შესახებ, შეიძლება სხვებიც გამოჩნდნენ. გაურკვეველია თავად გედევან ფოფხაძის პოლიტიკური მომავალი. ბუნებრივია, გუნდში თუ გარკვეულ პრინციპებზე რაღაც უთანხმოება არსებობს, მაშინ ის ადამიანები, რომლებიც არ თანხმდებიან საერთო თამაშის წესებს, გადიან ამ გუნდიდან. ეს იქნება პოლიტიკური გუნდი თუ ბიზნესჯგუფი, არ აქვს მნიშვნელობა. მთავარია, მათი განაცხადი და დაპირება საქმესთან იყოს კავშირში. როდესაც ამბობ, რომ გუნდს ტოვებ, გუნდი უნდა დატოვო და ეს არ უნდა გაიმეორო მრავალჯერ, რადგან არასერიოზულობის შთაბეჭდილებას ტოვებს.



შესაძლოა, რომ „დაშლილ-არ მოშლილმა“ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ „ევროპულ საქართველოს“ რამდენიმე დეპუტატი „ასესხოს“. ჩვენ გვახსოვს მათი თითქოს დაშლა, მაგრამ საპრეზიდენტო არჩევნებისას ერთიან კანდიდატზე შეთანხმდნენ. გახსოვთ ალბათ, თავად ჭიჭინაძე ჩაეწაცვლა ნატო ჩხეიძეს „პატრიოტთა ალიანსში“. ეს ტექნიკური „გასესხებები“ ფრაქციის შენარჩუნებისთვის, „მითხოვება“ დეპუტატების, ჩვეულებრივი ამბავია არა მხოლოდ საქართველოს საპარლამენტო საქმიანობაში. ასე რომ, წინ ძალიან საინტერესო საპარლამენტო ცხოვრება გველის.

* * *

გაზეთ „ახალ თაობასთან“ „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი, გიორგი კანდელაკიც საუბრობს და განმარტავს, რომ საპარლამენტო უმცირესობის სტატუსის დაკარგვა პარტიის წევრებისთვის მნიშვნელოვან ფაქტორს არ წარმოადგენს და პროცესების მიუხედავად, პარტიის წევრები საქმიანობას ჩვეულ რეჟიმში გააგრძელებენ.

– თქვენ როგორ გგონიათ, არსებობს საფრთხე, რომ „ევროპული საქართველო“ საპარლამენტო უმცირესობის სტატუსს დაკარგავს და თუ ხართ მზად ამისთვის?

– „ევროპული საქართველო“ მთლიანად არის ფოკუსირებული „ქართულ ოცნებასთან“ ბრძოლაზე, „ქართული ოცნების“ მანკიერებების გამოვლენაზე, ხალხთან ურთიერთობაზე და ჩვენი პარტიის არჩევნებისთვის მომზადებაზე, იმისთვის, რომ დავამარცხოთ „ქართული ოცნება“.

– ანუ მნიშვნელობას არ ანიჭებთ, პარტიას ექნება თუ არა საპარლამენტო უმცირესობის სტატუსი.

– რა თქმა უნდა, მნიშვნელობას არ ვანიჭებთ და უმრავლესობიდან რამდენი დეპუტატი გავა ან არ გავა, ცხადია, არ მაინტერესებს. ჩვენთვის მთავარია, გავაძლიეროთ ჩვენი პარტია, რათა დავამარცხოთ „ქართული ოცნება“ და ეს მავნებლები ჩამოვაცილოთ ხელისუფლებას.

– ბესელია უკვე ფიქრობს პარტიიდან წასვლა-არწასვლის საკითხზე. საბოლოოდ, შვიდი ან მეტი დეპუტატის წასვლაზეა საუბარი. თქვენ როგორ ფიქრობთ, გამართლდება ეს ვარაუდები? შეიძლება უმრავლესობის წევრები ვიხილოთ პარტიის გარეთ?

– „ქართულ ოცნებაში“, მათ შორის ქალბატონ ბესელიასაც არანაკლები „დამსახურება“ მიუძღვის იმ სავალალო მდგომარეობის შექმნაში, რაც დღეს არის. „ევროპული საქართველოს“ პოზიცია არის ძალიან მარტივი. აი ამ კატასტროფულ სიტუაციას უშლის მხოლოდ რადიკალური ნაბიჯები, როგორიცაა ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტის განხილვა ყველა სისხლის სამართლის საქმეზე.

„ქვეყნისთვის, 1.200.000 ავტომობილი, რომელთა 45%-ზე მეტი 20 წელს გადაცილებულია, ნამდვილად ტვირთია“

გადაცემაში „ადვოკატის საათი მარიკა არევაძესთან ერთად“ ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური დათვალიერების წესების შესახებ ისაუბრეს. საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის თავმჯდომარე ეკა ლალიაშვილი ავტოსაგზაო შემთხვევათა აღრიცხვისა და შეფასების პროცესის ხარვეზებზე საუბრობს.

– პირველი და მნიშვნელოვანი მიზანი ამ კანონისა ის არის, რომ შემცირდეს გზებზე საგზაო შემთხვევები, რომლებიც გამოწვეულია გაუმართავი ტრანსპორტითა და მეორე, გაუმჯობესდეს ჰაერის ხარისხი. ინსპექტირება მიღებული და გამოცდილი რეფორმაა ევროკავშირის ქვეყნებში. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში არ ხდება ავტოსაგზაო შემთხვევათა აღრიცხვა და შეფასების პროცესში ყველა ტვირთი მძღოლზე გადაგვაქვს, იშვიათად ფიქსირდება, რომ ტრანსპორტი იყო გაუმართავი. ამდენად, შეფასების ნაწილში უნდა გამოიკვეთოს ტრანსპორტის ბრალეულობით გამოწვეული შემთხვევები, ამასთანავე, უნდა შეფასდეს ინფრასტრუქტურის ბრალეულობაც და, თუ გვექნება სრულფასოვანი სტატისტიკა, უფრო კარგად დავგეგმავთ საჯარო პოლიტიკას.

ჩვენი ქვეყნისთვის, 1,200.000 ავტომობილი, რომელთა 45%-ზე მეტი 20 წელს გადაცილებულია, ნამდვილად ტვირთია. სამწუხაროდ, ამ ქვეყანაში არ ვითვლით იმ ტვირთს, რომელიც მოაქვს ასეთი კატეგორიის ტრანსპორტს. ამბობენ, რომ ჩვენ ვშოულობთ ლუკმაპურს და შენ თუ გინდა მოიწამლე, მოწამვლა არ არის ტვირთი? ჯანდაცვა სერიოზული ტვირთია, რომელსაც არ ვითვლით. ტვირთი გვგონია მხოლოდ ის, რაშიც ვიხდით ფულს, მაგრამ როცა ვზარალდებით ესეც ტვირთია. ამდენად, მნიშვნელოვანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ხელისუფლების როლი, რომელმაც მუდმივად უნდა ისაუბროს ამ საკითხებზე, – ამბობს ეკა ლალიაშვილი.

ანა დოლიძე: „უნდა შეიქმნას საგამოძიებო კომისია, რომელიც მოსამართლეთა ქონების კანონიერებას დაადგენს“

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი ანა დოლიძე პარლამენტს მიმართავს, შეიქმნას საგამოძიებო კომისია, რომელიც მოსამართლეთა ქონების კანონიერებას დაადგენს.

როგორც ანა დოლიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, მოსამართლეთა ქონების შესახებ ტელევიზიით გასული სიუჟეტი სასამართლო სისტემაში შესაძლო კორუფციის არსებობაზე მიუთითებდა.

– „რუსთავი 2“-ის სიუჟეტი ნამდვილად მოიცავდა საკმაოდ შემაშფოთებელ ინფორმაციას, სასამართლო სისტემაში შესაძლო სისტემური კორუფციის შესახებ.

მე, როგორც ერთ-ერთი მოქალაქე და საბჭოს წევრიც, შევშფოთდი და შესაბამისად მივმართავ საქართველოს პარლამენტს, რომელსაც პირდაპირ ეკუთვნის მსგავსი მაღალი დონის, ფართომასშტაბიანი და სისტემური ტიპის კორუფციასთან დაკავშირებით გამოძიების წარმართვა.

მე ვფიქრობ, რომ სწორედ საქართველოს პარლამენტში უნდა შეიქმნას დროებითი საგამოძიებო კომისია, სადაც ეს ნაწყენი მოსამართლეებიც, კომპანიაც, შესაძლო კორუფციის შესახებ თავისი ინფორმაციით მივა და საჯაროდ, ხალხის თანდასწრებით იქ დადგინდება სიმართლე, მართლაც რამდენად აქვს ადგილი სისტემურ და ელიტურ კორუფციას ჩვენს სასამართლო სისტემაში, რადგან ასეთის არსებობის შემთხვევაში, ჩვენს პერსპექტივას – ეს იყოს დამოუკიდებელი და ევროპული სახელმწიფო, ფაქტობრივად, მომავალი არ აქვს, – განაცხადა ანა დოლიძემ.

შეგახსენებთ, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში სიუჟეტი გავიდა, სადაც რამდენიმე მოსამართლის ქონებაზე იყო საუბარი, მათ შორის, მოსამართლე დიმიტრი გვრიტიშვილის, თამარ ალანიას და მერაბ გაბინაშვილის ქონების შესახებაც.

საბჭოს არამოსამართლე წევრები, ნაზი ჯანეზაშვილი და ანა დოლიძე მიიჩნევენ, რომ მოსამართლეთა ქონების კანონიერების თაობაზე გამოძიება უნდა დაიწყოს. ამ განცხადებებს კი საბჭოს გუშინდელი სხდომის დაწყებამდე არამოსამართლე წევრებსა და მოსამართლეებს შორის კამათი მოჰყვა.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის, გიორგი მიქაუტაძის განცხადებით, მოსამართლეთა დეკლარირებულ ქონებასთან დაკავშირებით ცრუ ბრალდებები გაჟღერდა.

როგორც გიორგი მიქაუტაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, ასეთი ბრალდებები მისთვის მოულოდნელობას არ წარმოადგენს, ვინაიდან ეს იყო იმ კვლევის საპასუხო, რომელიც საქართველოს სასამართლოს მაღალ სანდოობასთან დაკავშირებით გასულ კვირას გამოქვეყნდა.

– ჩემთვის მოულოდნელი არ იყო ის, როგორც განვითარდა ეს მოვლენები და რასთან დაკავშირებითაც დღეს გვქონდა მსჯელობა. საუბარი არის იმ ცრუ ბრალდებებზე, რომლებიც გაჟღერდა მოსამართლეებთან მიმართებაში და მათი ქონების აღწერაზე, რომელიც დეკლარირებული ქონება არის. მრავალი წლის დეკლარაციაში ფიქსირდება პერიოდულად ეს ქონება და მისი შეძენისთვის არსებული სახსრები, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს არ გაშუქებულა.

ეს ყველაფერი მოჰყვა იმ გარემოებას, რომ ჩვენ დავესწარით კვლევის პრეზენტაციას, რომელმაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ბოლო წლების განმავლობაში სასამართლო სისტემა ვითარდება სწორი მიმართულებით.

კვლევაში ნათლად არის მითითებული, რომ სასამართლო სისტემას აქვს ძალიან დიდი წარმატებები, ბოლო პერიოდის განმავლობაში და ეს კვლევა ჩატარებული არის ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული კვლევითი ორგანიზაციის მიერ, რომლის ხელმძღვანელიც, ბატონი პროფესორი ჩამოსული ბრძანდებოდა და პირადად გააკეთა მან ამის პრეზენტაცია.

ეს არის ნათელი სურათი იმის, რომ სასამართლო სისტემა მიდის სწორი მიმართულებით და როგორც ყოველთვის, თუნდაც მცირედი წარმატების შემდეგ, სასამართლო სისტემას ესხმოდნენ თავს. ზუსტად ასეთი მოლოდინი მქონდა, რომ ამ ჯერზეც აუცილებლად იქნებოდა თავდასხმა, სასამართლო სისტემაზე და ასეთი თავდასხმა ჩვენ ვიხილეთ.

მე ნამდვილად არ შევაფასებ არც ერთ სიუჟეტს და ჩემი განსჯის საგნად არ გავხდი. ვისაც როგორი სიუჟეტი უნდა, ისეთი მოამზადოს. დღევანდელ სხდომაზე ჩვენ გვქონდა შეკითხვები საბჭოს წევრების მიმართ, რომელთაც აბსოლუტურად არაადეკვატური რეაქცია ჰქონდათ სიუჟეტზე, რომელიც ეთერში გავიდა. იქ, შესაძლოა მართლა იყო წარმოდგენილი ფაქტები, თუმცა ჩვენმა ოპონენტებმა და საბჭოს წევრებმა ეს შეაფასეს, როგორც კორუფციის არსებობა სასამართლოში, – განაცხადა გიორგი მიქაუტაძემ.

საფრანგეთში ქართული მაფიის 2 ჯგუფი დააკავეს

ფრანგული საინფორმაციო გვერდის თანახმად, ალპებში, ქართული მაფიის ორი სხვადასხვა ჯგუფი დააკავეს.

ფრანგულ პოლიციას წელიწადნახევარი დასჭირდა ბანდის წევრების დასაკავებლად. მათი საქმე უკვე ინტერპოლს გადაეცა.

მედიის ცნობით, ერთი ნაწილი 2018 წლის დეკემბერში აიყვანეს, მეორე კი, რამდენიმე დღის წინ.

საუბარია სულ 8 ადამიანზე.

მედიის ცნობით, მათ უკვე შეეფარდათ პატიმრობა.

დიასპორა

მარნეულში გაზგასამართ სადგურს ცეცხლი გაუჩნდა

გუშინ, 18 თებერვალს, მარნეულის გაზგასამართ სადგურში ხანძარი გაჩნდა.

ცეცხლი ჯერ სატვირთო ავტომობილს გაუჩნდა, რომელსაც ადგილზე ბუნებრივი აირით ტუმბავდნენ, შემდეგ კი სადგურს გადაედო.

მარნეულში რამდენიმე სახანძრო ბრიგადა იყო მობილიზებული, ადგილზე მუშაობდა საპატრულო პოლიციაც. დაშავებულები არ არიან.

– არსებობდა აფეთქების საფრთხე, თუმცა მეხანძრე-მაშველების დროული რეაგირების შედეგად სწრაფად მოხდა ხანძრის ლიკვიდირება.

ადგილზე მობილიზებული იყო 2 სახანძრო-სამაშველო ჯგუფი, – ნათქვამია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაციაში.

მსხვილფეხა პირუტყვის ქურდობის ფაქტებზე 5 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებმა თბილისსა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონში მომხდარი მსხვილფეხა პირუტყვის ქურდობის ფაქტები გახსნეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, პოლიციის მიერ ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად დაკავებულია წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევი ხუთი პირი, რომელთაგან 4 დანაშაულის ჩადენის მომენტში პირობითი მსჯავრის ქვეშ იმყოფებოდა. დაკავებულებს ბრალი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით ჩადენილ ქურდობაში ედებათ.

დაკავებულები არიან: 1985 წელს დაბადებული ი.ბ., 1990 წელს დაბადებული გ.ბ., 1996 წელს დაბადებული გ.ბ., 1985 წელს დაბადებული დ.ფ. და 1986 წელს დაბადებული ნ.ბ. მათ მიერ ჩადენილი დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა ხუთივე პირი იმ დროს დააკავეს, როდესაც მათ მცხეთის რაიონში, ჯვრის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიიდან ერთ-ერთი მოქალაქის კუთვნილი მსხვილფეხა პირუტყვი მოიპარეს და მიმალვას ცდილობდნენ.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები თბილისსა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონში სისტემატურად იპარავდნენ მსხვილფეხა პირუტყვს, რის შემდეგაც მათ რეალიზაციას სხვადასხვა პირების მეშვეობით, უკანონო

ნოდ ახდენდნენ.

გამოძიება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით ჩადენილ ქურდობის ფაქტებზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის

მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

მალხაზ კობაურის სასამართლოსთვის 12 ნაფიცი მსაჯული უკვე შეარჩიეს

სმიტების ოჯახის მკვლელობაში ბრალდებული მწყემსის, მალხაზ კობაურის ადვოკატი, ალექსანდრე კობაიძე ამბობს, რომ 14-დან 12 ნაფიცი მსაჯული უკვე შერჩეულია.

სასამართლო პროცესი მარტის პირველ რიცხვებში დაიწყება.

– ეს რთული პროცესია. დაახლოებით 1000 კაცი იყო დაბარებული გასაუბრებაზე და აქედან მხოლოდ 12 შევარჩიეთ. სასამართლოზე მსჯელობა, დიდი ალბათობით, წავა იმაზეც, თუ რატომ არ შეატყობინა მან პოლიციას, ნაფიც მსაჯულებს ამაზეც მოუწევთ მსჯელობა. დაცვის მხარის მთავარი მიზანია, რომ გაუპატიურების და მკვლელობის კუთხით იყოს გამართლებული

აშშ-ის საკონსულომ გამოთქვა სურვილი, რომ სასამართლო პროცესებს დაესწროს, ეს იმაზე მიანიშნებს, რომ მათ სჯერათ ჩვენი არგუმენტების. მე მივიღე საკონსულოსგან თანხმობა და, სავარაუდოდ, აპრილში გავემგზავრები აშშ-ში. მე რაიან სმიტის ძმას ვესაუბრე და ის მზად არის, შემხვდეს, – განაცხადა კობაიძემ.

შეგახსენებთ, რომ პროკურატურამ ხადას ხეობაში მომხდარ მკვლელობაში ბრალდებულ 19 წლის მწყემსს, მალხაზ კობაურს, ბრალდება დაუმძიმა. პროკურატურის ინფორმაციით, მან ლორა ჯოი სმიტი გააუპატიურა და მოკლა. კობაურს რაიან მაიკლ სმიტისა და მისი მცირეწლოვანი შვილის ქელებ ისმატ სმიტის დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ მკვლელობასაც ედავებიან.

კახეთის საპატრულოს უფროსად იაგო ბოლოთაშვილი დაინიშნა

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის კახეთის მთავარი სამმართველოს უფროსად იაგო ბოლოთაშვილი დაინიშნა.

მან ამ თანამდებობაზე შოთა ხაჟომია შეცვალა.

შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ საკადრო ცვლილებები როტაციის წესით განხორციელდა.

ვიცე-პოლკოვნიკი იაგო ბოლოთაშვილი მანამდე შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე იყო.

„ინტერპრესნიუსის“ ინფორმაციით, შოთა ხაჟომია გურიის რეგიონში განაგრძობს მუშაობას.

სალოცავში წასული მამაკაცი კლდიდან გადავარდა და დაიღუპა

რა მოხდა კასპში

კასპის რაიონში მამაკაცი გარდაცვლილი ნახეს.

წინასწარი ინფორმაციით, ის კლდიდან გადავარდა.

„ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, შემთხვევა 17 თებერვალს გვიან ღამით მოხდა. სოფელ ახალციხის მკვიდრის ცხედარი ცხავერის ტყის მიმდებარე ტერიტორიაზე იქნა ნაპოვნი.

ადგილობრივების ინფორმაციით, 55 წლის მამაკაცი სალოცავში იმყოფებოდა, როდესაც შემთხვევა მოხდა.

გარდაცვლილის ცხედარი გორის პროზექტურაშია გადასვენებული და ექსპერტიზა უტარდება.

მომხდარ ფაქტზე გამოძიება 115 მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

8 წლის ბავშვის მიმართ გარყვნილ ქმედებაში ბრალდებულს პატიმრობა შეეფარდა

8 წლის ბავშვის მიმართ გარყვნილ ქმედებაში ბრალდებულ 28 წლის მამაკაცს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

ბრალდებულის ადვოკატი, დავით ჩავლეიშვილი ამბობს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი დანაშაულს არ აღიარებს და სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას გეგმავს.

ადვოკატის თქმით, დედისა და 8 წლის გოგონას ჩვენებებს შორის წინააღმდეგობაა. ადვოკატის თქმით, ბრალდების მხარეს ერთი მოწმე, ხოლო დაცვის მხარეს ხუთი მოწმე ჰყავს და მიიჩნევენ, რომ შეძლებენ ბრალდებულის უდანაშაულობის დამტკიცებას.

პომპეომ კოსოვოს დამოუკიდებლობა მიულოცა

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ კოსოვოს დამოუკიდებლობა მიულოცა. მან განაცხადა, რომ აშშ კოსოვოს სახელმწიფოს მომავალშიც დაეხმარება.

– ყველაფერს ვიღონებთ საიმისოდ, რომ კოსოვო წარმატებულ დემოკრატიულ სახელმწიფოდ გადაიქცეს, – თქვა პომპეომ.

სოლსბერი: „ტაძრის წინ რუსეთის დროშა აღმართეს“

ქალაქი სოლსბერი (ინგლისი) პირველად სკრიპალების საქმესთან დაკავშირებით მოექცა სკანდალის ეპიცენტრში. როგორც ცნობილია, გრუ-მ მამა-შვილ სკრიპალების ლიკვიდაცია სწორედ აქ სცადა. ახლა ქალაქი კვლავ ყურადღების ცენტრშია.

ვიღაც-ვიღაცებმა ტაძრის პირდაპირ მშენებლობაზე რუსეთის დროშა გამოკიდეს.

დროშის გამომკიდებელთა ვინაობა უცნობია. რაც შეხება თავად სკრიპალს, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა.

ამჟამად სკრიპალი სახლში ექიმების გაძლიერებული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება.

თეთრი სახლი საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებაში ტრამპს მხარს უჭერს

ტრამპის მრჩეველმა სტივენ მილერმა განაცხადა, რომ თეთრი სახლი საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებაში ტრამპს მხარს უჭერს.

– რაკი კონგრესი ჯიუტობს და მექსიკასთან კედლის დასაფინანსებლად ფულს არ იძლევა, რჩება ერთადერთი გამოსავალი: საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება და ფულის პენტაგონისთვის თხოვნა, – თქვა მილერმა.

ამავე დროს, აშშ-ის თავდაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა შენაჰენმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ პენტაგონი მეტად ფრთხილად მოეკიდება ისეთ საკითხს, როგორიც მექსიკასთან კედლის მშენებლობაა.

– კედლის ასაშენებლად 8 მილიარდია აუცილებელი! თუ ამ თანხას თავდაცვას ჩამოვაჭრით, ამერიკა დაზარალდება! – ამბობს შენაჰენი.

აშშ სირიიდან ეტაპობრივად გავა

ამერიკული არმია სირიიდან ერთბაშად არ გავა. ამის თაობაზე სირიაში აშშ-ის სპეცწარმომადგენელმა ჯეიმს ჯეფერიმ განაცხადა.

– ჩვენ სირიიდან ეტაპობრივად გავალთ. ეს იმგვარად მოხდება, რომ ჩვენ მოკავშირეებს დისკომფორტი არ შეექმნებათ, – ამბობს ჯეფერი.

როგორც ცნობილია, ტრამპის გადაწყვეტილებამ სირიიდან ჯარის გაყვანის თაობაზე როგორც აშშ-ში, ისე სხვაგანაც უდიდესი აღშფოთება გამოიწვია. ამერიკის თავდაცვის მინისტრი, გენერალი მატისი თანამდებობიდან გადადგა, ზოგიერთმა ევროპელმა ლიდერმა კი ტრამპი მკაცრად გააკრიტიკა.

ტერაქტი კაშმირში

კაშმირში ტერორისტული დაჯგუფება „ჯაიშ-ე-მოჰამედის“ მებრძოლებმა ინდოელ ჯარისკაცებზე თავდასხმა განახორციელეს. შედეგად 4 ინდოელი ჯარისკაცი დაიღუპა, 5 დაიჭრა. თავდამსხმელებმა უდანაკარგოდ დაიხიეს უკან.

კაშმირის კონფლიქტი 1947 წლიდან დაიწყო. შედეგად რეგიონი პაკისტანმა და ინდოეთმა გაიყვეს (მცირე ნაწილს ჩინეთი აკონტროლებს). ინდოეთიც და პაკისტანიც კაშმირის კონტროლს ესწრაფიან. ინდოეთი პაკისტანის ხელისუფლებას სისტემატიურად ადანაშაულებს ტერორისტების მხარდაჭერაში, რადგან „ჯაიშ-ე-მოჰამედის“ ბაზები პაკისტანში მდებარეობს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ამსტერდამში მეძავებს ქალაქის ღირსშესანიშნაობათა სიაში აღარ შეიყვანენ

ამსტერდამის მერმა ფემკე ჰალსემმა მოუწოდა დაშალონ სახელგანთქმული წითელი ფანრების კვარტალი – ქალაქის რაიონი, რომელშიც სექს-ინდუსტრია ყვავის. მისი თქმით,

მეძავეობის ტურისტულ ღირსშესანიშნაობად გადაქცევა დამამცირებელი და დაუშვებელია.

აღსანიშნავია, რომ ქალაქის ხელმძღვანელი მზადაა კვარტალის გარდაქმნის ყველანაირი ვარიანტი განიხილოს, რომელიც ასე თუ ისე იქ არსებულ სიტუაციას შეცვლის.

ჰალსემის თქმით, ტურისტების მოდინება რაიონში მეძავების მუშაობას აფერხებს და მათ უსაფრთხოებასაც საფრთხის ქვეშ აყენებს. მან დაამატა, რომ ამსტერდამული გახსნილი სექს-ინდუსტრიის ტრადიცია სულ უფრო მეტად უკავშირდება მოგზაურების მხრიდან ქალების დამცირებას. ქალაქის მერი აპირებს ზაფხულამდე შეიმუშაოს ღონისძიებათა პაკეტი, აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

თვითმფრინავში მორიელის გამოჩენამ არეულობა გამოიწვია

ავიაკომპანია ლიონ ეირის საჰაერო ხომალდის მგზავრები სალონში მორიელის გამოჩენამ პანიკაში ჩააგდო.

აღნიშნული ინციდენტი მოხდა თვითმფრინავში, რომელიც ინდონეზიის ქალაქ პეკანბარუდან ჯაკარტაში მიფრინავდა. ერთ-ერთი მგზავრის კარიმ ტასლინის თქმით, მორიელი ხელის ბარგისთვის განკუთვნილ თაროზე თვითმფრინავის დაშვების შემდეგ გამოჩნდა, როდესაც მგზავრებმა საკუთარი ბარგის გადმოღება დაიწყეს.

– მე-19 რიგში ხანშიშესულ წყვილთან ერთად ვიჯექი. როგორც კი ჩვენ წინ მორიელი შევნიშნეთ, მაშინვე წამოვხტით სავარძლებიდან და იმ ადგილს მოვშორდით. მე ექსტრემალური გამოძახების ღილაკს დავაჭირე თითი, თუმცა არავინ გამომხმაურებია, მაშინ იძულებული გავხდი ყვირილი დამეწყო, – განმარტა ტასლინმა.

მისი თქმით, ამის შემდეგ თვითმფრინავის სალონში სრული ქაოსი დაიწყო. ავიაკომპანიის თანამშრომლები მორიელამდე მიღწევას ვერ ახერხებდნენ. სანამ მათ მე-19 რიგამდე მიაღწიეს, ცხოველი უკანვე შებრუნდა და მას შემდეგ ის აღარავის დაუნახავს.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

სხვადასხვა

● ფოტოსურათით მოგიხსნით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ჯადო-თვალი-წყევლას, დეპრესიას, უიმედობას, შებოჭილობას, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, თვითმკვლელობის სურვილს და სხვა პრობლემებს. ტელ: 599-49-84-23 ნანა. ფირმა „იადიგარ დაუდი“.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართანებისმიერიპრობლემისმოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ბორჯღალოსნების მეორე გამარჯვება

საქართველო-ესპანეთი 24:10

ბორჯღალოსნებმა 2019 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის მეორე მატჩიც მოიგეს და ერთდღიანი შესვენების შემდეგ, სატურნირო ცხრილში კუთვნილი ადგილი დაიბრუნეს.

მეორე ტურის ორი შეხვედრა შაბათს გაიმართა და რუსეთმა (ბელგიასთან 64:7) და რუმინეთმა (გერმანიასთან 38:10) ბონუსებით მოიგეს, რითაც დროებით საქართველოზე წინ გადაინაცვლეს.

წლის პირველ საშინაო შეხვედრაში ჩვენი გუნდი ესპანეთს „ავჭალაზე“ დაუხვდა. ძლიერმა ქარმა, რომელიც მატჩის მსვლელობისას თანდათან უფრო მატულობდა, თამაშის მსვლელობას ძლიერი კვალი დაატყო და ლამაზი სანახაობა არ შედგა. დარში ამის დიდი პერსპექტივა რომ გვქონდა, მეორე ტაიმში რამდენიმე ეპიზოდით გამოჩნდა. ასე კი, ქომაგმა დიდი ბრძოლა იხილა, რომელშიც ბორჯღალოსნებმა პირინეელებს დამსახურებულად აჯობეს და ეს ნამატჩევს ესპანელთა თავკაცმაც აღიარა.

ამ შეხვედრაში 2 დებიუტი შედგა – გრიგორ ქერდიყოშვილმა და გიორგი ჯავახიამ ნაკრების კვართი პირველად მოირგეს და პირველმა ეს მოვლენა ლელოთი აღნიშნა. ლელო გაიტანა კიდევ ერთმა მეორეხაზელმა დავით გიგაურმა, რომელსაც დებიუტი ერთი კვირის წინ კლუჟში, რუმინეთთან ჰქონდა. თითო ლელო გამოცდილი ბორჯღალოსნების – ლევან ჩილაჩავასა და ვასილ ლობჟანიძის ანგარიშზეა.

პირველ ტაიმში საქართველოსთვის ზურგქარი უბერავდა, რითაც ბორჯღალოსნებმა ისარგებლეს. მეტოქე ფეხით თამაშს ვერ ახერხებდა, მასპინძლებმა ისინი საკუთარ 22-ში გამოკეტეს და წნეხის ქვეშ მოაქციეს. ამ ყველაფერმა შედეგი მე-14 წუთზე გამოიღო. 5-მეტრიანი შერკინების შემდეგ, მორკინალებმა რამდენიმე დარტყმა განახორციელეს, ესპანელების დაცვა მოარღვიეს და დავით გიგაური მცველებმა ვეღარ შეაჩერეს. მიუხედავად ქარისა, თედო აბჟანდაძემ, რომელსაც მანამდე ჯარიმა გაუცუდდა, გარდასახვა გაიტანა.

ამის შემდეგ ესპანეთმა ჩვენს ნახევარზე გადმოსვლა მოახერხა, შერკინებაში ჯარიმა მოიპოვა, დერეფნიდან ორჯერ მოლი დააყენა და მეორე ჯერზე სთივ ბარნსმა ლელოს გატანაც მოახერხა. საქართველო სწრაფად დაბრუნდა მეტოქის ნახევარზე და ლაშა ხმალაძემ ხაზი რომ გაჭრა, ლელოც გარდაუვალი ჩანდა, თუმცა დამიწებამდე მას ბურთი გაუვარდა. სამაგიეროდ, 27-ე წუთზე უკვე ქართული მოლი დადგა, რომელმაც ღერძი იცვალა და ლევან ჩილაჩავამ ლელოთი 7-ქულიანი უპირატესობა დაგვიბრუნა.

ტაიმის დარჩენილი დროც მეტოქის ნახევარზე მიილია, თუმცა ესპანეთმა თავის დაცვა მოახერხა და გუნდები შესვენებაზე გავიდნენ – 12:5.

მეორე ტაიმში საქართველოს პირქარში უწევდა თამაში და უკვე მან დაკარგა ფეხით თამაშის შესაძლებლობა, თუმცა ხელდახელ ბურთაობით მეტოქეს უფრო მეტი პრობლემა შეუქმნა. „ლომები“ მჭიდრო დაცვას თამაშობდნენ, რის გამოც ფრთებზე სივრცეები რჩებოდათ და ბორჯღალოსნები მისი გამოყენებით მანძილის მოგებას ახერხებდნენ.

ამავდროულად, სტუმრები ფეხით თამაშისას სცოდავდნენ, ქარის ძალას სათანადოდ ვერ თვლიდნენ და მათი დარტყმული ბურთები გათვლილზე ბევრად შორს, მოედანს მიღმა მიფრინავდა. პირველ ხაზში ბექა გიგაშვილის გამოსვლის შემდეგ, სტატიკაშიც ყველაფერი თავის ადგილზე დადგა და ქართულმა შერკინებამ ტრადიციული უპირატესობა მოიპოვა.

დებიუტში ესპანეთმა კიდევ ერთხელ სცადა მოლით მიზნის მიღწევა და 5-მეტრიანი დერეფნის შემდეგ მასში თითქმის მთელი გუნდი ჩაება, მაგრამ ქართველებმა უკან არ დაიხიეს. მერე სტუმართა კვაჭი სთივ ბარნსი ვასილ ლობჟანიძეზე მაღალი ბოჭვისთვის სინბინით დაისაჯა. 57-ე წუთზე ფრთაზე სივრცით სანდრო თოდუამ ისარგებლა და ლელოც აუცილებლად გავიდოდა, მაგრამ იულენ გოიამ ბურთს ხელი განზრახ ჩაარტყა და სტუმრები 4 წუთით 13 კაცის ამარა დარჩნენ.

მეორე ტაიმის შუაში ესპანეთმა ჩვენს ნახევარზე ბურთი ვერ ამოიღო, ბურთი ბორჯღალოსნებმა ფეხით ამოიღეს, ბურთი ბოლოებში ბევრ ადგილზე ბევრ ადგილზე ბევრ ადგილზე

ქალმა წონაში კიბოს გამო დაიკლო, მას კი ეს დიეტის შედეგი ეგონა

შოტლანდიელმა ქალბატონმა წონაში რამდენიმე კილოგრამი სწრაფად დაიკლო და მას ეს ეფექტური დიეტის შედეგი ეგონა, სინამდვილეში კი მას კუჭქვეშა ჯირკვლის კიბო აღმოაჩნდა.

ქალაქ ისტ-კილბრაიდის მკვიდრმა ლიზ ოკლიმ დიეტის დაცვა 2017 წლის ოქტომბერში დაიწყო. იანვრისთვის 65 წლის ქალმა წონაში 12 კილოგრამის დაკლება მოახერხა, რითიც ის ძალიან ამაყობდა. ამავე დროს ქალი გულისრევის შეგრძნებას, მუცლის და ზურგის არეში ტკივილებს უჩიოდა. მისმა შარდმა მუქი შეფერილობა მიიღო, ხოლო კანმა მოყვითალო. ეს ყოველივე მისმა მოზრდილმა ქალიშვილმა ოკლიმ შენიშნა და დედას ურჩია ექიმისთვის მიემართა.

ექიმებმა ქალს კუჭქვეშა ჯირკვლის მეორე სტადიის კიბო დაუდგინეს.

– საკუთარი თავით მეტად კმაყოფილი ვიყავი და გარშემომყოფებთან თავს ვიქებდი იმისთვის, რომ ნამცხვრებზე უარი ვთქვი და წონაში დავიკელი. როდესაც ჩემი გახდომის ნამდვილი მიზეზი გავიგე, სასოწარკვეთილება დამეუფლა, – აღიარა შოტლანდიელმა ქალბატონმა.

12 დღის შემდეგ მას ოპერაცია გაუკეთეს და ამოკვეთეს კუჭქვეშა ჯირკვალი, თორმეტგოჯა ნაწლავი, ნაღვლის ბუშტი და ნაღვლის სადინარები. ამის შემდეგ ოკლიმ ექვსთვიანი ქიმიოთერაპიისა და ქიმიორადიოთერაპიის კურსები გაიარა. ამჟამად ის თავს კარგად გრძნობს და საკუთარი ისტორია იმისთვის გაასაჯაროვა, რომ მის მდგომარეობაში აღმოჩენილებმა გადარჩენის იმედი არ დაკარგონ და ბოლომდე იბრძოლონ.

სტუდენტებმა ხე პრეზერვატივებით მორთეს და გოგონები გაანაწყენეს

ინდოეთის დედაქალაქ დელიში მდებარე კოლეჯის სტუდენტმა გოგონებმა მოითხოვეს, აიკრძალოს ტრადიცია, რომელიც წმინდა ვალენტინის დღეს უკავშირდება და რომლის ფარგლებშიც სტუდენტი ბიჭები ხეებს წყლით გავსებული პრეზერვატივებით რთავენ. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ისინი ამით ღმერთებს სექსუალურ საკითხში დახმარებას შესთხოვენ.

ვალენტინობის ღამეს სტუდენტმა გოგონებმა პროტესტის ნიშნად კოლეჯის კარი შეამტვრიეს და ამ უცნაური რიტუალის აკრძალვა მოითხოვეს. ათწლეულების განმავლობაში სიყვარულის დღეს ახალგაზრდა მამაკაცები „ქალწულობის ხეს“ პრეზერვატივებით რთავენ და ღმერთებს დახმარებას სთხოვენ.

ისინი ხის ტოტებზე საჰაერო ბუშტებს, სხვადასხვა ფერის ბაფთებსა და უმთავრეს ატრიბუტს, წყლით გავსებულ პრეზერვატივებს კიდებენ. მის ცენტრში ათავსებენ წყვილის გამოსახულებას, რომლებიც ერთმანეთს შეყვარებული თვალებით უყურებენ. ამ დღეს ღვთის სამოსში გამოწყობილი სტუდენტი მამაკაცი რიტუალურ ქმედებას ასრულებს, ამ დროს კი დანარჩენი სტუდენტები ჰიმნს ასრულებენ „სექსუალური ღვთაების“ საპატივცემულოდ. ყველა იქ დამსწრე ცეკვავს და მხიარულობს.

100 წლის ქალს დაბადების დღეზე შიშველი ოფიციანტები მოემსახურნენ

ბრიტანეთის სასექსის საგრაფოს ქალაქ კოლჩესტერში მოხუცებულთა სახლის ბინადარს დაბადების დღე შიშველმა ოფიციანტებმა მიულოცეს.

2018 წლის ოქტომბერში მოხუცებულთა სახლის ყველაზე მხცოვანმა მობინადრემ, 99 წლის დოლ ჯენკინსმა, მაღალი შეფასება მისცა ერთ-ერთ წვეულებაზე შიშველი ოფიციანტების მომსახურებას. მაშინ მოხუცებულმა ქალბატონმა სერვისის თანამშრომლებს სთხოვა, რომ ისინი მისი დაბადების დღეზე, როდესაც ის ასი წლის გახდებოდა, მისულიყვნენ.

მოხუცებულთა სახლის თანამშრომელ ლეიჯი ჯონსის თქმით, როგორც კი ჯენკინსის დაბადების დღის აღსანიშნავ წვეულებაზე შიშველი ოფიციანტები გამოჩნდნენ, იუბილარს სახე გაუბრწყინდა.

– ყველანი დასასვენებელ ოთახში ვიმყოფებოდით და მათ მოსვლას ველოდებოდით, მაგრამ, როდესაც ისინი გამოჩნდნენ, ჯენკინსი თავიდან შეცბა, მათ უთხრა, რომ წასულიყვნენ და ჩაეცვათ, თუმცა ძალიან მალევე აზრი შეიცვალა, გამხიარულდა და მათ შიშველ სხეულზე ხელებს უტყაპუნებდა, – გაიხსენა მოხუცებულთა სახლის თანამშრომელმა.

იუბილარი კმაყოფილი დარჩა დაბადების დღეზე მიწვეული შიშველი სტუმრებით, რომლებსაც წინიდან მხოლოდ მოკლე წინსაფრები ჰქონდათ აფარებული. წვეულებაზე, რომელსაც ჯენკინსის ნათესავები და მეგობრები ესწრებოდნენ, შიშველ ოფიციანტებს მათთან სენდვიჩები და ფუნთუშები მიჰქონდათ.

საპატარძლომ თავისი საუკეთესო მეგობარი მისი მკერდის ზომის გამო არ დაპატიჟა ქორწილში

საპატარძლომ გადაწყვიტა თავის ახლო მეგობარი არ დაპატიჟოს საკუთარ ქორწილში და ამის მიზეზი მისი მეტისმეტად დიდი მკერდი გახდა. ეს ინფორმაცია გოგონამ ანონიმურად გაუმხილა ერთ-ერთ საინფორმაციო პორტალს.

გოგონამ პორტალს უამბო, რომ მის მეგობარ ერინს ჰორმონალური აშლილობა აქვს და ამის გამო მისმა მკერდმა უზარმაზარ ზომას მიაღწია. მან აღნიშნა, რომ ერნის ოჯახიც და ის თავადაც ეუბნებოდნენ გოგონას, რომ მას მკერდის ზომა ქირურგიული ჩარევის დახმარებით შეემცირებინა, თუმცა ერნი მათ უცხადებდა, რომ ოპერაციის ეშინოდა.

– არ მინდა, რომ ჩემი ქორწილის სტუმრებს პირველ რიგში ის გაახსენდეთ, თუ როგორი დიდი მკერდი ჰქონდა პატარძლის მეგობარ გოგონას, – განაცხადა საპატარძლომ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ექიმმა წონაში თავისი პაციენტების გამო დაიკლო

დიდ ბრიტანეთში პარამედიკოსმა წონაში 82 კილოგრამი იმის გამო დაიკლო, რომ თავისი პაციენტებისთვის კარგი მაგალითი გამხდარიყო.

ინგლისის ნოტინგემშირის საგრაფოს ქალაქ ნოტინგემის მკვიდრი მაილზ ბრაიერსი საკუთარი ზედმეტი წონის გამო სუნთქვის გაძნელების პრობლემას აწყდებოდა, განსაკუთრებით სამსახურში. ის სასწრაფო დახმარებაში მუშაობდა. მისი წონა 158 კილოგრამს შეადგენდა, მუდმივად ოფლიანდებოდა და ავადმყოფებთან ურთიერთობის დროს თავს არაკომფორტულად გრძნობდა.

ბრიტანელი პიცით, ბურგერებით და შოკოლადიანი ფუნთუშებით იკვებებოდა და ამ ყოველივეს ენერგეტიკულ სასმელს აყოლებდა.

– მე ყოველთვის სრული ძალით ვშრომობდი, თუმცა ხშირად ვაწყდებოდი სირთულეებს. არის ისეთი მომენტები, როდესაც პარამედიკოსს პაციენტის გადასარჩენად თავქუდმოგლეჯილი სირბილი უწევს. ასეთ მომენტებში კი მე მათთან, ასე ვთქვათ, სრულიად დანგრეული მივდიოდი, – ამბობს მამაკაცი.

ბრაიერსი გრძნობდა, რომ ის ავადმყოფებისთვის ცუდ მაგალითს წარმოადგენდა და რაღაც მომენტში მიხვდა, რომ საკუთარი სხეულის ფორმის წესრიგში მოყვანა იყო აუცილებელი. ფასტფუდზე უარის თქმის შედეგად მან წონაში 30 კილოგრამი დაიკლო, თუმცა ჩათვალა, რომ ეს საკმარისი არ იყო და ვარჯიშების სპეციალური პროგრამა შეიძინა. ის მკაცრად იცავდა კვებისა და ვარჯიშების რეკომენდირებულ გეგმას და გარკვეული რეჟიმი გამოიმუშავა.

– ყველაფერი კარდინალურად შეიცვალა. საკუთარ თავს მიზანი დავუსახე, დავიწყე მათი რეალიზება და მას შემდეგ დასახულ კურსს მივყვები, ჩემთვის ყველაფერი შესანიშნავად წარიმართა, – განაცხადა 24 წლის ბრაიერსმა.

ასტროპროგნოზი

19 თებერვლისთვის

ვერძი – ჭეშმარიტებას ეძიებთ და ჩასწვდებით. ეცადეთ, დაიცვათ ზნეობა და მორალი. ** კურო** – პრობლემების დაძლევაში თვითდარწმუნება და ოპტიმიზმი დაგეხმარებათ. გამოიჩინეთ დიდსულოვნება. **ტყუპები** – გარშემომყოფებთან ურთიერთობისას ნაჩქარევ დასკვნებს ნუ გამოიტანთ. ეცადეთ, საყვარელ ადამიანს გული არ ატკინოთ. **კირჩხიბი** – ოპტიმიზმი და შრომისმოყვარეობა დღის დევიზია. ნუ იზარმაცებთ და მომავლის იმედი გქონდეთ. **ლომი** – სასიცოცხლო პოტენციალი საკმაოდ მაღალია. ნებისმიერი წამოწყება თქვენთვის სასურველ შედეგს გამოიღებს. **ქალწული** – შესაძლოა, ფინანსურად სერიოზულად დაზარალდეთ. დიდი ყურადღება და შორსმჭვრეტელობა გმართებთ. **სასწორი** – ცვლილებებს ნუ შეუშინდებით. პირიქით, სასურველიც კია, თქვენს ყოველდღიურობაში კორექტივები შეიტანოთ. **ღრიანკალი** – დღეს უმართლებთ ბიზნესმენებსა და მეწარმეებს. ნებისმიერი გადაწყვეტილება გაბედულად მიიღეთ. **მშვილდოსანი** – ემოციების გამოვლენას ერიდეთ. დღეს თქვენს ტალანტსა და შესაძლებლობებს სრულყოფილად წარმოაჩენთ. **თხის რქა** – წინააღმდეგობრივი დღეა. მოუთმენლობა, აჩქარება და საქმისადმი ზერელე დამოკიდებულება უარყოფით შედეგს გამოიღებს. **მერწყული** – კრიტიკული დღეა. არ გიმართლებთ, რაც თქვენი წინაუხედაობის ბრალია. **თევზები** – ცივი გონება, კრიტიკული განსჯა დღის დევიზია. რომანტიკული პერიოდი მთავრდება.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოჰდი ბ

შვეულად: 1. სოფლის ორღობე; 2. ავსტრალიური სირაქლემა; 3. კარლ მარქსის თხზულება; 4. დედამიწის ზემოთ არსებული სივრცე; 5. მობილური ტელეფონების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 6. პოლიციელთა მეტსახელი ბრიტანეთში; 7. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი; 10. თანდაყოლილი ფერადი გამონაზარდი კანზე; 11. ალპინისტთა მასობრივი ლაშქრობა; 12. ზღვისპირა კურორტი აფხაზეთში; 13. ბრიტანული ტაქსი; 16. მდინარე ციმბირში; 18. მეღვინეობის სპეციალისტი; 19. ლატვიის ფეხბურთელთა გუნდი; 21. სუბტროპიკული ხილი; 24. მდინარე ლონდონში.

თარაზულად: 1. თეთრყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 3. ბუნებაში ფართოდ გავრცელებული მინერალი; 8. წითელი ფერის ფრანგული სადესერტო ღვინო; 9. გერმანელი მიკრობიოლოგი, ბაქტერიოლოგიისა და ეპიდემოლოგიის ფუძემდებელი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 14. კომბინაცია პოკერში; 15. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 17. აღდგომის მისალოცი სიმღერა; 20. ვაშინგტონის გარეუბანი, სადაც განთავსებულია აშშ-ის დაზვერვის ეროვნული ცენტრი; 22. „ფიატის“ მარკის მიკროლიტრაჟიანი ავტომობილი; 23. ამერიკის სტეპებში გავრცელებული მგელი; 25. თევზის ძვალი; 26. ხის ქოში; 27. ქართული გაზეთი; 28. სახელმწიფო აღმოსავლეთ ევროპაში.

შეადგინა თ.ბოგინაშვილმა



წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. ტანკერი; 5. პომპა; 7. მალარია; 9. კანტორი; 10. კალმახი; 13. ტურნირი; 14. სენატი; 15. ორთი; 19. სექტორი; 20. ტრავერსი; 21. კარანტინი; 22. მირაჟი.

შვეულად: 1. ტუსკია; 2. კონტრა; 3. პატისონი; 4. ტიკალი; 6. პარიტეტი; 8. ფრახტი; 11. მედისონი; 12. არტერია; 16. ვოლგა; 17. გროგი; 18. გრამი.

სკანვორდის პასუხები:

1. ასო; 2. ონეგინი; 3. პლებისციტი; 4. ეტი; 5. აგური; 6. ლორნეტი; 7. კიფერ; 8. ბერეტა; 9. კიი; 10. რეგატა; 11. ლანცეტი; 12. გრიფიტი; 13. პაი; 14. კუ; 15. ასტამი; 16. მანდრილი; 17. მადამ; 18. რაიონი; 19. ატოლი; 20. ალტი; 21. რეტი; 22. არიფანა; 23. ოდა; 24. ანანკე; 25. ბორდიური; 26. ანტრე; 27. ანტილოპა; 28. კოლიო; 29. იშ; 30. შოლტი; 31. ერა.

სურათებზე: ფედერიკა პელეგრინი; ჯონ ობი მიკელი.

გიული ჩოხელი 84 წლის გახდა

ქართული ჯაზის ცოცხალი ლეგენდა, მომღერალი გიული ჩოხელი 84 წლის გახდა. ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, მწერალთა სახლში მისი წიგნის „გიული ჩოხელი“ პრეზენტაცია გაიმართა. წიგნის პრეზენტაციასთან ერთად, გაიმართა იუბილარი ხელოვანის მიერ შექმნილი ნამუშევრების გამოფენა, რომლებსაც იგი პოლიეთილენის პარკებისგან ქმნის.

მწერალთა კავშირის წარმომადგენელმა, პოეტმა მაყვალა გონაშვილმა გიული ჩოხელს ქართული კულტურის ამაგდარის წოდება მიანიჭა.

გიული ჩოხელი ევროპის ესტრადის მომღერალთა საუკეთესო ხუთეულში მოხვდა.

ცხოვრებაში თავს დამტყდარმა ტრაგედიებმა ის სცენიდან ჩამოიყვანა და ცხოვრების უფსკრულში ჩააგდო. მომღერალს ჯერ დედა გარდაეცვალა, მერე შვილი, რამაც სიმღერის სურვილი საერთოდ გაუქრო და მიხვდა, რომ სიმღერა არაფერში სჭირდებოდა:

– მე დედის სახით ცხოვრებაში მოძღვარი დავკარგე. ის იყო ჩემი იდეალი, რომელმაც მასწავლა ბევრი რამ. მისი ყოველი რჩევა-დარიგება ჩემთვის დღესაც მნიშვნელოვანია. მის გარეშე მიჭირს ცხოვრება და ამას ძალიან განვიცდი. დედა ჩემი ცხოვრების ნათელია, რომელშიც მეამაყება ცხოვრება. მისი გარდაცვალება ჩემთვის დიდი ტრაგედია იყო, მაგრამ მე ამ ტკივილსაც შევებრძოლე. ამაში ჩემი შვილის დინარას სიყვარულიც დამეხმარა. დინარა ახლა მოსკოვში ცხოვრობს. ძალიან მენატრება. ის მუსიკოსია, კარგი ვოკალისტი. რამდენიმე მუსიკალური კომპოზიციაც აქვს ჩაწერილი. თავად არის კომპოზიტორი. დინარამ მითხრა, სცენაზე არასოდეს ვიმღერებ, შვილი მყავს გასაზრდელი, არ მინდა მას მოაკლდეს ჩემი სითბო და ყურადღებაო. მე მესმის მისი, რადგან ასეთია ხელოვანის ცხოვრება, მე სულ გასტროლებზე ვიყავი და ის ძალიან განიცდიდა ამას, ვენატრებოდი. ამიტომაც არ სურს იტვირთოს ეს დიდი პასუხისმგებლობა, – ამბობს მომღერალი.

მისი ცხოვრება კი აღსავსე იყო წარმატებული გასტროლებით, სრული ანშლაგებით და მსოფლიო აღიარებით, მაგრამ:

– იყო პერიოდი, როცა დავიღალე სოლო კონცერტებით და გადავწყვიტე ერთწლიანი შესვენება გამომეცხადებინა. ჩემს ადმინისტრატორს წინასწარ ჰქონდა ჩემი კონცერტები დაგეგმილი სხვადასხვა ქალაქში და იქაური ადმინისტრაცია ჩემ რეკლამას უკვე ელოდებოდა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ბერა და კახა კალაძე რუსეთის ყველაზე მოდური მამაკაცების სიაში

მომღერალი ბერა ივანიშვილი და თბილისის მერი კახა კალაძე რუსეთის ყველაზე მოდური მამაკაცების საუკეთესო 50-ეულში მოხვდნენ.

საუკეთესოთა რეიტინგი XX-მ გამოაქვეყნა და მასში წარმოდგენილი არიან რუსი სპორტსმენები, მედიამენეჯერები, რეჟისორები, მსახიობები, მხატვრები, ტელეწამყვანები, ბიზნესმენები, მოდელები, მწერლები, პროდიუსერები...

ბერა ივანიშვილი საუკეთესო 50-ეულში მეცხრე ადგილზეა, კახა კალაძე კი მეექვსე ადგილს იკავებს. მათთან ერთად ამ ჩამონათვალში მოხვდა კიდევ ერთი ქართველი – მუსიკოსი ლევან გოროზია, რომელმაც მეოცე ადგილი დაიკავა.

რუსეთის ყველაზე მოდური მამაკაცების 50-ეულში პირველობა მუსიკოსმა ფედუკმა არავის დაუთმო. ამ ჩამონათვალში მოხვდნენ ტელეწამყვანი ივან ურგანტი, მუსიკოსი სერგეი შნუროვი, რეჟისორი ფიოდორ ბონდარჩუკი, წამყვანი ანდრეი მალახოვი, მომღერალი ფილიპ კირკოროვი, რეჟისორი ანდრეი ზვიაგინცევი, მუსიკოსი და მომღერალი დიმიტრი მალიკოვი და სხვა ცნობილი ხელოვანები.

„საქართველოს ვარსკვლავი“ თამარ ლაჭყეპიანმა დატოვა

„საქართველოს ვარსკვლავის“ ქართველი კომპოზიტორების საკონკურსო ტური მომღერალ თამარ ლაჭყეპიანისთვის წარუმატებელი აღმოჩნდა. მან ყველაზე ცოტა ხმა დააგროვა და ევროვიზიისთვის ბრძოლას გამოეთიშა.

უკვე ორი საკონკურსო ტურია ლიდერობას არავის უთმობს მომღერალი ლიზა კალანდაძე, მანამდე პროექტის ლიდერი ოთო ნემსაძე იყო.

ამჟამად შოუში გამარჯვებისთვის 5 კონკურსანტი იბრძვის: გიორგი ფრუიძე, გიორგი ნაკაშიძე, ოთო ნემსაძე, ნინი ცნობილაძე და ლიზა კალანდაძე. მათგან ერთ-ერთი „საქართველოს ვარსკვლავის“ გამარჯვებული გახდება და საქართველოს „ევროვიზია 2019“-ზე წარადგენს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯალეიდოსკოპი

კიმ კარდაშიანი საზოგადოებაში ეროტიკულ ფორმაში გამოწყობილი გამოჩნდა



რეალითი-შოუს „კარდაშიანების ოჯახის“ მონაწილე კიმ კარდაშიან-უესტი Hollywood Beauty Awards-ს პრემიის ღონისძიებაზე ეროტიკულ სამოსში გამოწყობილი გამოცხადდა.

ცერემონიისთვის, რომელიც კვირას ლოს-ანჯელესში გაიმართა, ტელევარსკვლავმა ფრანგი დიზაინერის ტიერი მიუგლერის შავი ფერის კაბა შეარჩია 1998 წლის გაზაფხულის კოლექციიდან.

კარდაშიანის თაყვანისმცემლები გააოგნა კაბის ზედა ნაწილის ელემენტებმა, რომლებიც ძლივს ფარავდნენ მის მკერდს.

– კიმ კარდაშიანს ლამაზი მკერდი აქვს და მას მისით თავის მოწონება უყვარს! ამაში ცუდი არაფერია. ჩემი ერთადერთი პრეტენზია ისაა, რომ მეტისმეტად ბევრი ქსოვილი ფარავს მის მკერდს, – განაცხადა იუმორით ინსტაგრამში გამოქვეყნებული სურათის კომენტარში ერთ-ერთმა ინტერნეტ-მომხმარებელმა.

– მან ეს კაბა იმისთვის ჩაიცვა, რომ თაყვანისმცემლებს საჭორაო არ მოკლებოდათ. თუ შენ მართლაც ლამაზი ხარ, მაშინ ამის დასამტკიცებლად გახდა საჭირო სულაც არ არის. ის საძინებლისთვის შეინახე, – დაწერა მეორე ინტერნეტ-მომხმარებელმა.

ირინა შეიკმა და ბრედლი კუპერმა ჭორები უარყვეს

მეტისმეტად გადატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო ირინა შეიკი, მისი ბოიფრენდი და მისი ერთადერთი ქალიშვილის ლეის მამა ბრედლი კუპერი ერთმანეთის გვერდით მეტი დროის გატარებას ვერ ახერხებენ.

თუმცა ახლახან, წმინდა ვალენტინის დღესთან დაკავშირებით, მათ მაინც გამონახეს დრო იმისთვის, რომ გოგონა ძიძასთან დაეტოვებინათ, თავად კი განმარტოვებულიყვნენ. ისინი რესტორან Giorgio Baldi-ში წავიდნენ, სადაც კუპერმა შეიკისთვის სანთლების შუქზე რომანტიკული სადილი მოაწყო.

წყვილმა სანტა-მონიკაში მდებარე პოპულარულ დაწესებულებაში გვიანობამდე დაჰყო. აღსანიშნავია, რომ ამ რესტორანს ხშირად სტუმრობენ ცნობილი ადამიანები, მაგალითად, აქ ძალიან ხშირად ჩნდება რიანა. თავად კუპერიც ასევე ამ დაწესებულების ხშირი სტუმარია.

თუმცა ის იქ ირინასთან ერთად პირველად იმყოფებოდა. მანამდე კუპერი იქ თავის მეგობრებთან ბრედ პიტთან და შონ პენთან ერთად სადილობდა.

რესტორანში ამ გამოჩენით წყვილმა წერტილი დაუსვა იმ ჭორების გავრცელებას, რომლის თანახმადაც, მათ ურთიერთობას პრობლემები შეექმნა და ისინი ერთმანეთს შორდებოდნენ.

მამაკაცმა შეყვარებულს ხელი სხვისი ბეჭდით სთხოვა და შემდეგ უკან დაბრუნება მოსთხოვა

დიდი ბრიტანეთის მკვიდრმა თავის შეყვარებულს ცოლობა სთხოვა და დასანიშნად სხვისი ბეჭედი გადასცა, რომლის დაბრუნებაც მოგვიანებით მოსთხოვა.

ლონდონელი 27 წლის ჯონ ელიოტი ოთხი წელი ხვდებოდა გოგონას სახელად ეშლის. შეყვარებულთა დღეს, 14 თებერვალს, რესტორანში ყოფნის დროს მამაკაცმა გადაწყვიტა, მისთვის ხელი ეთხოვა.

ელიოტის თქმით, მას სურდა, რომ ეშლის მოგვიანებით თავადვე ბეჭედი საკუთარი გემოვნებით შეერჩია, თუმცა ამავე დროს ცოლობას მას ხელცარიელი ვერ სთხოვდა. მაშინ მან განცხადებების ვებ-გვერდის დახმარებით იპოვა ჯენი პარკერი, რომელმაც მას დროებით 50 ფუნტ სტერლინგად ათხოვა ძვირფასი საგვარეულო ბეჭედი.

– მინდოდა, რომ ფოტოსურათისთვის მას შეერჩია ის ბეჭედი, რომელსაც ის თავად იმსახურებდა. მან მითხრა „დიახ!“, – განაცხადა მომავალმა სიძემ, – მას ბეჭედი მოეწონა, ამიტომ ცოტათი განწყობა გაუფუჭდა, როდესაც შეიტყო, რომ ეს ბეჭედი მხოლოდ ერთი დღისთვის იყო, თუმცა სამაგიეროდ მან ახლა უკვე იცის, თუ როგორი ბეჭდის ტარებას ისურვებდა.



კეტი პერი ორლანდო ბლუმს მიჰყვება ცოლად

წმინდა ვალენტინის შეყვარებულთა დღეს მამაკაცები არა მხოლოდ დღესასწაულს ულოცავენ თავიანთ შეყვარებულებს, არამედ სერიოზულ საქმეებსაც აკეთებენ. ასე, მაგალითად, მსახიობმა ორლანდო ბლუმმა თავის შეყვარებულს, მომღერალ კეტი პერის ხელი სთხოვა და მისგან თანხმობა მიიღო.

ამგვარად ვარსკვლავური წყვილის ნიშნობა 14 თებერვალს შედგა. ეს სასიხარულო ამბავი კეტი პერიმ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა. მომღერალმა გამოაქვეყნა ფოტოსურათი, რომელზეც ის თითზე გაკეთებული ნიშნობის ბეჭდითაა აღბეჭდილი, ქვევით კი დაურთო წარწერა: „Full Bloom“.

აღსანიშნავია, რომ კეტი პერი და ორლანდო ბლუმი ერთმანეთს 2016 წლიდან ხვდებიან, მართალია ისინი მალევე დაშორდნენ ერთმანეთს, თუმცა პაუზა მათ ურთიერთობაში ხანმოკლე აღმოჩნდა, ისინი მიხვდნენ, რომ უერთმანეთოდ ცხოვრება არ შეეძლოთ. როდის და სად გაიმართება ვარსკვლავური წყვილის ქორწილი, ჯერ-ჯერობით ცნობილი არაა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

და თამილა ღლონტი, ვაჟიშვილი კოკა, შვილიშვილი თამუნა თელიები, დეიდაშვილები ნანა ჟორდანია, მარინე და ცისო წალდაძეები, მამიდაშვილები გულიკო და ქეთინო ბრეგვაძეები, ლიანა გენძეხაძე, მაზლი რეზო თელია ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მანანა ღლონტი-თელია

პანაშვიდი: 17, 18 თებერვალს, 17. საათზე.

დაკრძალვა: 19 თებერვალს, 15 საათზე.

მისამართი: მ.ზანდუკელის ქუჩა №21 (ყოფილი ი.ჯავახიშვილის (ვერაზე)).

ომარ კაჭარავა და ივერი ზაკალაშვილი ოჯახებით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ, რომ გარდაიცვალა სიკეთით სავსე პიროვნება, საოცარი მუსიკალური ნიჭითა და იუმორით დაჯილდოებული ადამიანი, საიმედო ნათესავი და მეგობარი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მანანა ღლონტი

და თანაუგრძნობენ მის ოჯახს, ნათესავებსა და მეგობრებს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი სამძიმარს უცხადებს ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელს მედეა მელაშვილს მამის

რობერტ ბაბლიძის

გარდაცვალების გამო.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

19 თებერვლისთვის

აშშ დოლარი — 2.6404	ევრო — 2.9908
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.413	100 რუსული რუბლი — 3.9608

ამინდის პროგნოზი 19 თებერვლისთვის

„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

„მე მიყვარს კითხვა“

19 თებერვლიდან

ჯონატან სვიფტი

გულივერის მოგზაურობა

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

12 თებერვლიდან

სულხან საბა ორბელიანი

სიბრძნე სიცრუისა



ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

15 თებერვლიდან

გუსტავ ფლობერი

მადამ ბოვარი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

14 თებერვლიდან

ავთანდილ ბუხრაშვილი

ქალი ჩანთაში

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

ანეკდოტი

ქორწილის პირველ ღამეს ახლად შეუღლებულები ლოგინში წვანან. ქმარი ცოლს მუცელზე ხელს ნაზად უსვამს და ეუბნება:

– ეს ჩემი ყანაა, მე აქ კარტოფილს დავთესავ.

გადაბრუნდა და დაიძინა.

მეორე ღამეს ქმარი ცოლს ზურგზე ხელს გადაუსვამს და ეუბნება:

– აქ მე კომბოსტოს დავთესავ.

გადაბრუნდა და დაიძინა.

მესამე ღამეს ცოლი ქმარს ეუბნება:

– მომისმინე, ფერმერო, თუ ამ ღამეს სტაფილოს არ დარგავ, მაშინ ჩემს ყანას გავაქირავებ!

●●●

სუფრასთან სტუმარ ქალს მასპინძელი ეუბნება:

– „ნაბეღლავი“ დალიეთ, არ გინდათ?

– არა, მაი გაზიანია, მბერავს და მერე ჩემი ქმარი ეჭვიანობს.

●●●

რაიონში ჩასული თბილისელი მასპინძელს ეკითხება:

– როგორ ხარ?

– ინდიელივით.

– ეგ როგორ, კაცო?

– ბიჯო, როგორ და მშია, მწყურია, ფეხზე მე არ მაცვია და ტანზე და ინდიელი ვარ, მა ვინ ვარ?

●●●

ქმარი კვდება. ცოლი საწოლის გვერდით უზის და მოთქვამს:

– არ დამტოვო, მიხოო... არ გაგიშვებ, მეც თან წამოგყვებიიი...

– იმქვეყნად მაინც მომასვენე, შე შობელძაღლო, შენა...

●●●

კაცს დამკრძალავი ბიუროდან ურეკავენ და ეკითხებიან:

– თქვენი სიდედრისთვის რას შეუკვეთთ: დასაფლავებას, კრემაციას თუ ბალზამირებას?

– დაზღვეული რომ ვიყო, სამივეს.

– ძვირი დაგიჯდებათ.

– მაგ საქმისთვის ფული არ მენანება!

●●●

კაცი ქალს ეკითხება:

– მილიონ ლარად მომცემ?

– რა თქმა უნდა.

– და ერთ ლარად?

– შენ მე ვინ გგონივარ?

– ვინც ხარ, უკვე გავარკვიე და ახლა ფასზე მოვრიგდეთ!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ზიდანი შესაძლოა ჩელსის მწვრთნელი გახდეს

ზინედინ ზიდანი შესაძლოა, ლონდონის ჩელსის მთავარი მწვრთნელი გახდეს. ამის შესახებ ინფორმაცია ბრიტანულ პრესაში გავრცელდა.

ბოლო პერიოდში ჩელსი ცუდ შედეგებს აჩვენებს და ამის გამო შესაძლოა, მაურისიო სარიმ მალე თანამდებობა დატოვოს.

ლონდონელები უკვე ეძებენ მის შემცვლელს და მათ არჩევანი ზიდანზე შეაჩერეს.

ასევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ზიდანმა ტრანსფერებისთვის 200 მილიონი ევრო მოითხოვა და ედენ აზარის გუნდში დარჩენაც.

ცნობილია, რომ ზიდანს ყოველთვის სურდა ედენ აზართან ერთად მუშაობა.

იურგენ კლოპი: „ბაიერნთან პირველი შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანია“

ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა, იურგენ კლოპმა ბაიერნთან მატჩის წინ განაცხადა, რომ ეს შეხვედრა მისი გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება და ლივერპულს შეცდომის დაშვების უფლება არა აქვს:

– გუნდში ყველას კარგად ესმის, თუ როგორი მნიშვნელოვანია გამარჯვება, რადგან ჩვენს წინააღმდეგ ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი ითამაშებს. საკუთარ მოედანზე შეცდომები არ უნდა დავუშვათ და აუცილებლად უნდა მოვიგოთ, – განაცხადა იურგენ კლოპმა.

ლივერპულს დისკვალიფიკაციის გამო ვირჯილ ვან დეიკი ვერ დაეხმარება.

სოლსკიაერმა ალექსის სანჩესი კეტჩუპის ბოთლს შეადარა

ოლე გუნარ სოლსკიაერმა ალექსის სანჩესზე საინტერესო კომენტარი გააკეთა და ის კეტჩუპის ბოთლს შეადარა.

მანჩესტერ იუნაიტედში გადმოსვლის შემდეგ სანჩესი ვერ აჩვენებს კარგ ფეხბურთს, მაგრამ სოლსკიაერის აზრით, ეს ასე არ გაგრძელდება.

– სანჩესი კეტჩუპის ბოთლივითაა, რომელიც რთულად იხსნებს, მაგრამ შემდეგ მოდის და მოდის. დარწმუნებული ვარ, რომ სანჩესი კარგი ფეხბურთელია და ის კიდევ ბევრჯერ გამოავლენს თავის შესაძლებლობებს, – განაცხადა სოლსკიაერმა.

მანჩესტერ იუნაიტედი დე ხეას წელიწადში 20 მილიონს სთავაზობს



მანჩესტერ იუნაიტედს დავიდ დე ხეას გაშვება არ სურს და ის ესპანელ მეკარეს ახალ კონტრაქტს სთავაზობს, რომლის მიხედვითაც, მისი წლიური ანაზღაურება 20 მილიონი იქნება.

კონტრაქტი 5 წლიანია და დე ხეამ სეზონის ბოლომდე უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. ჯერჯერობით მას ახალ კონტრაქტზე თანხმობა არ მიუცია. ხშირი იყო საუბრები იმის შესახებ, რომ დე ხეა ესპანეთში აპირებდა დაბრუნებას.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჟერარ პიკე: „თამაშის ხარისხი უნდა გამოვასწოროთ“

ბარსელონას ცენტრალურმა მცველმა ჟერარ პიკემ ვალიადოლიდთან შეხვედრაზე ისაუბრა და თქვა, რომ ბარსელონას ასეთი თამაში არ ეკადრება.

პიკემ განაცხადა, რომ თუ ბარსელონამ არ მოუმატა, მაშინ მას ლიონთან ძალიან გაუჭირდება.

– წინ ბევრი რთული მატჩი გველის და თამაშის ხარისხი უნდა გამოვასწოროთ, წინააღმდეგ შემთხვევაში პრობლემები გვექნება. ლიონი ძლიერი გუნდია და მისი არდაფასება დიდი შეცდომა იქნება. იმედი მაქვს, მის ბარიერს დავძლევთ, – განაცხადა ჟერარ პიკემ. ლიონი-ბარსელონას შეხვედრა 19 თებერვალს შედგება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოხდი ↄ

შვეულად: 1. მხარე გერმანიაში; 2. რომელიმე სიტყვის საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვა; 3. სამთო-სათხილამურო სპორტის ცენტრი სლოვენიაში; 5. კორიდის მთავარი მონაწილე; 7. ესპანელი მხატვარი; 9. სიბერით გამოწვეულ დაავადებათა შემსწავლელი მედიცინის დარგი; 13. მადრიდის „ატლეტიკოს“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 15. სამონასტრო კომპლექსი კახეთში; 16. კოლუმბიის დედაქალაქი; 18. კატისებრთა ოჯახის მტაცებელი ცხოველი.

თარაზულად: 4. ქართველ მამაკაცთა ძველებური რბილი ტყავის ფეხსაცმელი; 6. ფრანგი მწერალი ქალის ჟორჟ სანდის რომანი; 8. კონგრესის შენობა ვაშინგტონში; 10. მოყვარული მოტოციკლეტისტი; 11. ისტორიული სასტუმრო პარიზში; 12. ქართული ნავთობკომპანია; 14. კუთხე საქართველოში; 17. წყნარი, უქარო ამინდი ზღვაზე; 19. საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელი; 20. საცხოვრებელი მასივი თბილისში; 21. მდინარე ფლორენციაში; 22. ბელგიაში მოთამაშე საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი; 23. ქართველი საოპერო მომღერალი ქალი.



შეადგინა თ.კოპალეიშვილმა